

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ანა მერებაშვილი

**პატიმრობის გამოყენების მართლზომიერების პროცესუალური
პრობლემები**

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სოციალურ მეცნიერებათა
ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე
სამართალმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი:

პროფესორი მალხაზ ლომსაძე

გორი 2019

სარჩევი

თავი 1 თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება საქართველოს კონსტიტუციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით

2. აღკვეთის ღონისძიებების ზოგადი დებულებები

1.1 ბრალდებულის პირველი წარდგენა სასამართლოში....

1.2 პირველი წარდგენის სხდომის ჩატარების დრო და ადგილი...

1.3 აღკვეთის ღონისძიების ცნება, მიზნები და საფუძვლები...

1.4 აღკვეთის ღონისძიების მიზანშეწონილობის შესახებ მტკიცების ტვირთი...

1.5 აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისას გასათვალისწინებელი გარემოებები..

თავი 2 აღკვეთის ღონისძიების სახე - პატიმრობა.....

2.1 პატიმრობის გამოყენების საუბულები.....

2.2 მიმალვის საფრთხე.....

2.3 მტკიცებულებათა მოპოვებისთვის ხელისშემლის საფრთხე

2.4 ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე.....

2. პატიმრობის გამოყენების ვადა.....

თავი 3 აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლისა და გასაჩივრების პროცესუალური საკითხები.....

3.1 აღკვეთის ღონისძიების გამოყენება, შეცვლა და გაუქმება.....

3.2 აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ განჩინების გასაჩივრება.....

3.3 აღკვეთის ღონისძიება - პატიმრობის ალტერნატივები.....

3.4 სხვა ნაკლებად მძიმე აღკვეთის ღონისძიებანი.....

3.5 შინაპატიმრობა როგორც ახალი აღკვეთის ღონისძიება.....

თავი 4 უზენაესი სასამართლოს სტატისტიკა აღკვეთის ღონისძიების შეფარდების თაობაზე.....

თავი 5 უცხო ქვეყნების სტანდარტები პატიმრობის გამოყენებასთან მიმართებით....

დასკვნა.....

.

გამოყენებული ლიტერატურა.....

შესავალი

ნაშრომში განხილულია აღკვეთის ღონისძიებანი ზოგადად, მიზნები და საფუძვლები, ასევე მახვილდება ყურადღება, როგორც საქართველოში, ასევე უცხო ქვეყნებში არსებულ პატიმრობის შეფარდების სტანდარტებზე.

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის თანახმად, ადამიანის თავისუფლება ხელშეუვალია და მისი შეზღუდვა მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, კანონის საფუძველზე უნდა მოხდეს. სასამართლომ უნდა განახორციელოს თავისი მოვალეობა და უნდა იქნეს მოძიებული მყარი არგუმენტაცია ამის გასამართლებლად.

მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმატიული ბაზა ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ ევროპულ სტანდარტებს შეესაბამება და შესაბამის სიმაღლეზე დგას, თემის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ პრაქტიკაში ბრალდებულის მოსამართლესთან წარდგენა ხდება აღკვეთის ღონისძიების გამოყენების დასაბუთების გარეშე და ბრალდების შუამდგომლობა წარმოადგენს მხოლოდ წინასწარ შემუშავებულ, შაბლონურ და დაბეჭდილ ნიმუშს, რომლითაც ბრალდება აპელირებს ბრალდებულისთვის თავისუფლების შეზღუდვის მნიშვნელობაზე. შესაბამისად, რეალურად არ ხდება ყურადღების გამახვილება აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობაზე, კონკრეტული ფაქტებისა და ინდივიდუალური მახასიათებლების მნიშვნელობაზე.

ზემოაღნიშნული პრობლემა საკმაოდ აქტუალურია, ვინაიდან იზღუდება ადამიანის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლება დასაბუთების გარეშე. ყოველივე ეს თავისთავად ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლს, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლს, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის მე-9 მუხლს და ზოგადად სამართლიანი სასამართლოს პრინციპს.

პროკურორის ვალდებულებაა, საპროცესო ნორმების სრული დაცვით წარმოადგინოს მყარი მტკიცებულებები, რათა დაასაბუთოს, აღკვეთის ღონისძიების- პატიმრობის გამოყენების მიზანშეწონილობა.

ნაშრომის მიზანია:

1. მკითხველს დაანახოს თუ როგორ შეიძლება ბრალდების მხარემ წარმოადგინოს მყარი არგუმენტაცია პირისთვის პატიმრობის შეფარდების დასაბუთებლად.

2. წარმოაჩინოს და დაასაბუთოს სხვა ნაკლებად მძიმე აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ადეკვატურობა, ვიდრე პატიმრობის;

3. მკითხველს დაანახოს უცხო ქვეყნის/ქვეყნების სტანდარტები პატიმრობის გამოყენების თაობაზე.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემის საფუძველზეა შექმნილი. ამ კვლევის დროს გამოყენებული იქნა

შედარებით-სამართლებრივი კვლევის მეთოდი, რომლის ფარგლებშიც განხილულია ევროპის ქვეყნების სტანდარტები ალკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე.

ნაშრომი იყოფა 5 თავად. პირველი თავი შეეხება ალკვეთის ღონისძიების ზოგად დებულებებს, მეორე თავი უშუალოდ პატიმრობის ღონისძიებას, მესამე თავი ალკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლისა და გასაჩივრების პროცესუალურ საკითხებს, მეოთხე თავი უზენაესი სასამართლოს სტატისტიკას ალკვეთის ღონისძიების შეფარდების თაობაზე, მეხუთე თავი შეეხება საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებას ალკვეთის ღონისძიებების გამოყენების თაობაზე.

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომში „პატიმრობის გამოყენების მართლზომიერების პროცესუალური პრობლემები“ განხილულია ის მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც შეეხება ალკვეთის ღონისძიების სახეებს, მიზნებსა და

საფუძვლებს.ნაშრომში ყურადღება მახვილდება ალკვეთის ღონისძიება-პატიმრობაზე.მასში საუბარია უცხო ქვეყნის მაგალითებსა და პრაქტიკაზე პატიმრობის გამოყენებასთან მიმართებით, რაც თავის მხრივ, მნიშვნელოვანია, ჩვენს კანონმდებლობაში ზოგიერთი ხარვეზული ნორმის მოსაწესრიგებლად.

ნაშრომში ყურადღება მახვიდება ალკვეთის ღონისძიების- პატიმრობის ალტერნატივებზე და განხილულია რამდენად ადეკვატურია პატიმრობის ნაცვლად მისი გამოყენება . აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვანია ვინაიდან პატიმრობის გამოყენების საფუძვლების რელევანტურობა ხშირად დაუსაბუთებელი და ორაზროვანია, რაც ეწინააღმდეგება სამართლიანი სასამართლოს პრინციპს და აღნიშნულ საკითხს აქტუალურობას მატებს.ნაშრომის მიზანსაც სწორედ ის წარმოადგენს რომ მკითხველმა დაინახოს რამდენად მნიშვნელოვანია ბრალდების მხარის დასაბუთება პირის მიმართ პატიმრობის გამოყენების მოთხოვნისას.

ნაშრომის მომზადებისას ჩვენ გამოვიყენეთ თეორიული მასალა,აგრეთვე ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები,მიმოვიხილეთ სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობა ალკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებასთან დაკავშირებით და ვიხელმძღვანელებთ უზენაესი სასამართლოს სტატისტიკით ალკვეთის ღონისძიების შეფარდების თაობაზე.

Ana Merebashvili

Procedural problems of lawfulness of use of detention

Annotation

In the Master's thesis „Procedural problems of lawfulness of use of detention” discusses an important issues which concerns the types, goals and grounds of measure of restraint. In the work, attention is paid to measure of restraint – detention. There are the examples and practice of foreign countries in relation to the use of detention, which is important to regulate certain shortcomings in our legislation.

In the work, attention is paid to the alternatives to measure of restraint – detention and is discussed how adequate is to use it instead of detention. This issue is important because the relevance of the grounds for the use of detention is often unsubstantiated and ambiguous, which contradicts the principle of fair trial and adds actuality to the abovementioned issue. The aim of the paper is that the reader see how important is the substantiation of prosecution side towards the person upon demanding the use of detention.

While preparing the work, we used theoretical material, also normative legal acts, reviewed the national legislation of different countries in relation to the use of detention as a measure of restraint and guided by the statistics of the Supreme Court on the imposition of measure of restraint.

პირველი თავი

1. თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება საქართველოს კონსტიტუციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლი ადამიანის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და ფუნდამენტურ უფლებაზე საუბრობს. მე-18 მუხლით უზრუნველყოფილია თავისუფალი დემოკრატიული წესწყობილების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი და ღირებულება - ადამიანის თავისუფლება.¹

კერძოდ, აღნიშნულ მუხლში მოცემულია ადამიანის თავისუფლების უფლება რისი დაცვაც სამართლებრივი სახელმწიფოსა და დემოკრატიული ღირებულებების განვითარების საფუძველია. ადამიანის თავისუფლების ხელშეუვალობა სწორედ იმის გარანტიაა, რომ იგი კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებებს და თავისუფლებებს რეალურად გამოიყენებს. საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: ¹

¹ ავტორთა კოლექტივი - საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები. თბ. 2005 წ. გვ.96

„ ადამიანის თავისუფლება ხელშეუვალია“. ადამიანის თავისუფლების ხელშეუვალობა იმპერატიულად არის განსაზღვრული კონსტიტუციის მიერ და იგი გულისხმობს ადამიანის უფლებას გადაადგილდეს თავისუფლად და უსაფრთხოდ, იმოქმედოს თავისი სურვილის შესაბამისად. იგი იცავს მას თვითნებური დაკავებისა და თავისუფლების შეზღუდვისგან. ადამიანს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა თავისუფლად, დაუბრკოლებლად და უსაფრთხოდ გადაადგილდეს ქვეყნის შიგნით. ამ უფლებიდან გამომდინარე, სახელმწიფო ასევე ვალდებულია შექმნას კანონმდებლობა, რომლითაც სამართლებრივად უზრუნველყოფილი იქნება ადამიანის თავისუფლება და უსაფრთხოება, აკრძალული იქნება თავისუფლების თვითნებური შეზღუდვა.²

ადამიანის თავისუფლების ხელშეუვალობა იმდენად მნიშვნელოვანი უფლებაა, რომ პიროვნებასაც არ შეუძლია უარი თქვას თვითნებურად მე-18 მუხლის უფლებაზე.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ თავისი ნებით ჩაბარდება ხელისუფლების ორგანოებს და თანხმობას აცხადებს დაკავებასა თუ დაპატიმრებაზე - ეს მაინც არ ათავისუფლებს სახელმწიფოს მე-18 მუხლის მოთხოვნებისაგან. სახელმწიფო მაინც ვალდებულია უზრუნველყოს პირის საპროცესო ძირითადი უფლებების დაცვა.³ ადამიანის თავისუფლების უფლება არ არის აბსოლუტური უფლება და შესაძლებელია მოხდეს დაცულ სფეროში ჩარევა, კერძოდ შეიძლება მოხდეს ფიზიკური პირის თავისუფლების შეზღუდვა ან თავისუფლების აღკვეთა. ჩვენთვის ამ შემთხვევაში უფრო მნიშვნელოვანია თავისუფლების შეზღუდვა, რაშიც უნდა ვიგულისხმოთ ბრალდებულის მიმართ, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდება. საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე. ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „ადამიანის დაკავება დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში საგანგებოდ უფლებამოსილი პირის მიერ. დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლება შეზღუდული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის მიხედვით არა უგვიანეს 48 საათისა. თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შესახებ, პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

² ავტორთა კოლექტივი - საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები. თბ. 2005 წ. გვ.96

³ იქვე, გვ. 97

აღნიშნული მუხლის მიხედვით განისაზღვრება ამ უფლებაში ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი, კერძოდ თავისუფლების აღკვეთა ან შეზღუდვა უნდა მოხდეს აუცილებლად სასამართლოს განაჩენით/განჩინებით, ხოლო მესამე ნაწილის მიხედვით დაკავება უნდა მოხდეს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დაკავებული პირი დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს სასამართლოს და მაქსიმუმ 72 საათის განმავლობაში უნდა გადაწყდეს შეზღუდვა თუ არა თავისუფლება.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლი განმარტავს თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლებას. იგი ერთ-ერთი ძირეული უფლებაა, რომელიც იცავს ადამიანის ფიზიკურ თავისუფლებას, იცავს მას უკანონო დაკავებისა და დაპატიმრებისგან. თუმცა იგი არ არის აბსოლუტური უფლება და დასაშვებია მისი შეზღუდვა კონკრეტულ შემთხვევებში, კერძოდ კონვენციის მე-5 მუხლის მიხედვით „ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა შემდეგი შემთხვევებისა და კანონით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად.“ კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, დაუშვებელია პირისთვის თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვა, გარდა იმ შემთხვევების ამომწურავი ჩამონათვალისა, რაც მოცემულია ამ მუხლის პირველ პუნქტში.

კონვენციის მე-5 მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილია სხვადასხვა შემთხვევები, როდესაც ხდება ადამიანის თავისუფლების შეზღუდვა - ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესო მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი უნდა იყოს, რომლის თანახმადაც: „პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე მის წარსადგენად, როდესაც არსებობს სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი, ან საფუძვლიანად არის მიჩნეული პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის თუ მისი ჩადენის შემდეგ მიმალვის აღკვეთის აუცილებლობა“.

აღნიშნული ქვეპუნქტი ითვალისწინებს დაკავებისთვის სამ საფუძველს:

1. დასაბუთებული ეჭვი, რომ დაკავებულმა პირმა ჩაიდინა დანაშაული;
2. როდესაც გონივრულია აუცილებლობა, თავიდან იქნეს აცილებული პირის მიერ დანაშაულის ჩადენა;
3. როდესაც გონივრულია აუცილებლობა, თავიდან იქნეს აცილებული პირის მიერ დანაშაულის ჩადენის შემდეგ გაქცევა.

კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მიზანია: უზრუნველყოს განსასჯელი პირის წარმოდგენა სასამართლო პროცესზე; თავიდან

აიცილოს ხელის შეშლა მართლმსაჯულების განხორციელებისათვის; თავიდან აიცილოს კონკრეტული დანაშაულის ჩადენა.⁴ აღნიშნული კი ემსგავსება ალკვეთის ღონისძიების შეფარდების მიზანს, კერძოდ უზრუნველყოფილ იქნას ბრალდებულის წარმოდგენა სასამართლოში, თავიდან იქნას აცილებული მართლმსაჯულებისთვის ხელის შეშლა და თავიდან იქნას აცილებული მომავალში დანაშაულის ჩადენა.

კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს, რომ დაკავებული ან დაპატიმრებული პირი დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს მოსამართლეს. ამ მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარეობს ასევე, რომ დაკავებული პირი პირადად უნდა წარდგეს მოსამართლის წინაშე. რაც შეეხება ტერმინს „დაუყოვნებლივ“ - იგი მართალია არ არის განმარტებული კონვენციის მიხედვით, თუმცა ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ წარდგენა უნდა მოხდეს გაუმართლებელი დაგვიანების გარეშე.⁵

მოკლედ რომ ითქვას, ადამიანის თავისუფლების ალკვეთა თუ შეზღუდვა აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის, კონსტიტუციის და სხვა სამართლებრივ აქტების მოთხოვნებს. აქ იგულისხმება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც უფრო დეტალურად განმარტავს როდის არის დასაშვები ადამიანის თავისუფლების შეზღუდვა, პატიმრობის შეფარდება. მთავარი ფაქტორია, რომ დაცული იქნას თანაზომიერების პრინციპი და უნდა არსებობდეს ლეგიტიმური საჯარო მიზანი, რის განხორციელებასაც ემსახურება ალკვეთის ღონისძიების, პატიმრობის შეფარდება. სწორედ ასეთი ჩარევა არის კონსტიტუციურ-სამართლებრივად გამართლებული. ყოველივე ეს კი, საბოლოო ჯამში, სამართლებრივი სახელმწიფოს განვითარებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

2 ალკვეთის ღონისძიებების ზოგადი დებულებები

1. ბრალდებულის პირველი წარდგენა სასამართლოში

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად სახელმწიფოს გააჩნია ექსკლუზიური უფლებამოსილება რეაგირება მოახდინოს სისხლის სამართლის დანაშაულზე და განახორციელოს დანაშაულის გამოძიება, მოახდინოს პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა და ზოგადად აღასრულოს მართლმსაჯულება.

⁴ კ. კორკელია, ი. ქურდაძე - ადამიანის უფლებათა სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით 2004 წ. გვ.143

⁵ იქვე, გვ.149

იმისათვის, რომ დანაშაულს მოჰყვეს სახელმწიფოს შესაბამისი რეაგირება, არ მოხდეს გამოძიების შეფერხება და სახელმწიფომ უზრუნველყოს მართლმსაჯულების აღსრულება სასამართლოს მიერ, აქტიურად გამოიყენება აღკვეთის ღონისძიებანი, როგორც სასამართლოს ბერკეტი, რომელიც უზრუნველყოფს სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის აღსრულებას.

ზოგადად ბრალდებულის პირველ წარდგენას სასამართლოში არ აქვს მხოლოდ ფორმალური მნიშვნელობა და აქ საუბარი არ არის მხოლოდ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხზე. სრულიად შესაძლებელია ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიება საერთოდ არ შეეფარდოს. როგორც მოგეხსენებათ, თავისუფლება ადამიანის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა და მისი შეზღუდვა მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში დაიშვება. შესაბამისად, იმისათვის რომ გამოირიცხოს თვითნებობის საფრთხე, სასამართლოში მისი წარდგენა მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი იმპერატიულად მოითხოვს, რომ ნებისმიერი პიროვნება ვინც დაკავებული, ან დაპატიმრებული იქნება უნდა წარსდგეს მოსამართლის წინაშე. აღნიშნული მოთხოვნა მოქმედებს ყველა შემთხვევაში და დამოკიდებული არ არის დაკავებულის სურვილზე გამოიყენებს თუ არა მას იგი. აღნიშნულის მიზანი არის მოახდინოს პირის დაკავების სასამართლო კონტროლი.⁶

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე დაკავების კანონიერების შემოწმებას. თუნდაც მოსამართლის განჩინებით მოხდეს პირის დაკავება აუცილებელია მისი პირველ სხდომაზე ფიზიკურად წარმოდგენა, ვინაიდან სასამართლო წარმოადგენს ზედამხედველ ორგანოს და სხდომაზე ამოწმებს დაკავების კანონიერებას, ბრალდებულის უფლებების დაცვას, მის მიმართ არასათანადო მოპყრობას გამორიცხავს, განუმარტავს ბრალდების არსს, განსაზღვრავს წინასასამართლო სხდომის თარიღს და სხვა⁷. აღნიშნული მუხლის მიზანია ბრალდებული დაექვემდებაროს სასამართლო კონტროლს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 196-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დაკავებიდან არაუგვიანეს 48 საათისა პროკურორი გამოძიების ადგილის მიხედვით წარუდგენს მაგისტრატ მოსამართლეს შუამდგომლობას აღკვეთის ღონისძიების შეფარდების თაობაზე. თუ აღნიშნული 48 საათიანი ვადა დაცული არ იქნება, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ბრალდებული დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს.

⁶ Human rights committee - General comment no. 35; article 9(liberty and security of person); IV-32; 2014

⁷ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი; თბ. 2015წ2.გვ. 551

2. პირველი წარდგენის სხდომის ჩატარების დრო და ადგილი

პირველ რიგში განვიხილოთ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ადგილი. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 196-ე მუხლის თანახმად, შუამდგომლობა წარედგინება მოსამართლეს გამოძიების ადგილის მიხედვით. გამოძიების ადგილი განმარტებულია სსსკ-ის მე-3 მუხლის 26-ე ნაწილში, სადაც აღნიშნულია იგი როგორც „საგამოძიებო ორგანოს ადმინისტრაციული შენობის მდებარეობის ადგილი“. თუმცა საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს განსაკუთრებულ შემთხვევას, როდესაც დაშვებულია ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომა განხორციელდეს არა გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოში, არამედ დაკავებულთა მოთავსების ადგილას. აღნიშნული განსაზღვრულია როგორც საგამონაკლისო წესი სსსკ-ის 196-ე მუხლის მე-2 ნაწილში, რომლის მიხედვითაც, თუ შეუძლებელია ბრალდებულის სასამართლოში მიყვანა, მოსამართლეს შეუძლია სასამართლო სხდომა ჩაატაროს დაკავებულთა მოთავსების ადგილას. ასეთ განსაკუთრებულ შემთხვევად შეიძლება ჩაითვალოს ბრალდებულის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა, ბადრაგირების განხორციელების შეფერხება, საგანგებო ან საომარო მდგომარეობა, სტიქიური უბედურება, მასობრივი არეულობა და სხვა. მთავარია ტრანსპორტირება ზრდიდეს ბრალდებულის მიმალვის ან/და ჯანმრთელობის გაუარესების საფრთხეს.

რაც შეეხება დროს, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის მე-9 მუხლის მიხედვით, ბრალდებულის დაკავებისას უნდა მოხდეს მისი პირველი წარდგენა მოსამართლესთან დაუყოვნებლივ. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის მე-9 მუხლის კომენტარებში განმარტებულია, რომ ცნებას „დაუყოვნებლივ“ - არ გააჩნია ზუსტი განსაზღვრება და იგი დამოკიდებულია ობიექტურ გარემოებებზე. თუმცა ადამიანის უფლებათა კომიტეტის მოსაზრებით, დაკავებიდან 48 საათიანი ვადა უმეტეს შემთხვევაში საკმარისია, რათა მოხდეს პირის ტრანსპორტირება და წარდგენა მოსამართლესთან.⁸ რაც შეეხება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს, საინტერესოდ არის ფორმულირებული 196-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის თანახმადაც 48 საათიან ვადაში წარდგენილ უნდა იქნას შუამდგომლობა და არა თვითონ ბრალდებული. შუამდგომლობა წარდგენილად ჩაითვლება სასამართლოს კანცელარიაში მისი რეგისტრაციის მომენტიდან. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა აღარ აქვს აღნიშნული რეგისტრაციის დრო ემთხვევა თუ არა სამუშაო საათებს ან დასვენების დღეებს, მთავარია დაცულ

⁸ Human rights committee - General comment no. 35; article 9(liberty and security of person); IV-33; 2014

იქნეს ამ მუხლის იმპერატიული დანაწესი 48 საათიან ვადასთან დაკავშირებით - წინააღმდეგ შემთხვევაში, ბრალდებული დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს.⁹ კანცელარიაში შუამდგომლობის რეგისტრაციის შემდგომ უნდა მოხდეს ბრალდებულის პირველი წარდგენა მოსამართლესთან. მართალია აქ კონკრეტული ვადები არ არის განსაზღვრული, მაგრამ ივარაუდება, რომ ბრალდებულის წარდგენა უნდა განხორციელდეს მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში - იმის გათვალისწინებით, რომ წარდგენილ იქნას საქმის მასალები, რაც საჭიროა აღკვეთის ღონისძიების განსახილველად და არ იქნას დარღვეული საპროცესო კოდექსის მოთხოვნა, შუამდგომლობის განხილვის 24 საათიან ვადასთან დაკავშირებით.

სსსკ-ის 197-ე მუხლის მიხედვით, მაგისტრატი მოსამართლე შუამდგომლობის წარდგენიდან არაუგვიანეს 24 საათისა, ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე: არკვევს ბრალდებულის ვინაობას, არკვევს ესმის თუ არა ბრალდებულს სისხლის სამართლის პროცესის ენა, განუმარტავს ბრალდებულს ბრალდების არსს და მის უფლებებს, აცნობებს ბრალდებულს ბრალდებით გათვალისწინებული სასჯელის სახეს და ზომას, არკვევს საპროცესო შეთანხმების დადების შესაძლებლობას, იხილავს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობას, ბრალდებულისგან არკვევს აქვს თუ არა რაიმე საჩივარი ან შუამდგომლობა მისი უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით, ახორციელებს ამ კოდექსით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 197-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, პირველი წარდგენის სხდომა მიმდინარეობს უწყვეტად. აღნიშნული არ გულისხმობს, რომ სასამართლოს არ შეუძლია შესვენების გამოცხადება, არამედ იგი უკრძალავს სასამართლოს განიხილოს სხვა სისხლის სამართლის საქმე, სანამ აღნიშნული პირველი წარდგენის სხდომა არ დამთავრდება¹⁰.

3. აღკვეთის ღონისძიების ცნება, მიზნები და საფუძვლები

⁹ საქართველო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი; თბ. 2015წ.გვ. 552

¹⁰ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი; თბ. 2015წ.გვ 557

პირველი წარდგენის სხდომაზე განიხილება შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების შეფარდების თაობაზე. სისხლის სამართლის პროცესში აღკვეთის ღონისძიების შეფარდებას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ვინაიდან აქედანვე იწყება პირისთვის გარკვეული უფლებების შეზღუდვა. აღკვეთის ღონისძიება წარმოადგენს საპროცესო იძულების ღონისძიების სახეს. მისი გამოყენება ხდება მხოლოდ ბრალდებულის მიმართ და დაიშვება ნებისმიერ ეტაპზე. გამონაკლისია გამოძიების ეტაპი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებამდე და განაჩენის აღსრულება.¹¹

ბრალდებულის პირველი წარდგენისას სასამართლოში, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ამ მომენტისთვის პირის მიმართ არსებობს მხოლოდ დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა დანაშაული და იგი სახელმწიფოს მიერ მიიჩნევა უდანაშაულოდ მანამ სასამართლო განაჩენით საპირისპირო არ იქნება დამტკიცებული.¹² სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში პირდაპირ არის განმარტებული, რომ დასაბუთებული ვარაუდი არის აღკვეთის ღონისძიების გამოყენების სტანდარტი. დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი განმარტებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-11 ნაწილში, „ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა, ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისთვის ან/და აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისთვის გათვალისწინებული მტკიცებულებითი სტანდარტი.“

აღკვეთის ღონისძიების გამოყენება არ არის სავალდებულო ყველა ბრალდებულის მიმართ და მის გამოყენებას გააჩნია კონკრეტული მიზნები და საფუძვლები. კერძოდ, მას გააჩნია პრევენციულ-უზრუნველყოფელი ხასიათი.¹³ 2015 წელს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ „აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანი არ არის პირის ბრალეულობის მტკიცება, იგი წარმოადგენს მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელების ხელშეშლის პრევენციის საშუალებას.“¹⁴ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის თანახმად, აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას აქვს შემდეგი მიზნები: „ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას“, „აღკვეთის მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა“, „უზრუნველყოფილ იქნეს განაჩენის აღსრულება“. რაც შეეხება, საფუძვლებს, ამავე მუხლის თანახმად,

¹¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი; თბ. 2015წ.გვ. 557

¹² საქართველოს კონსტიტუცია, მე-40 მუხლი

¹³ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი; თბ. 2015წ.გვ. 557

¹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 28 ივნისის #646 საოქმო ჩანაწერი საქმეზე საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. II-40

„აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველია: დასაბუთებული ვარაუდი, რომ ბრალდებული მიიძღვება ან არ გამოცხადდება სასამართლოში, გაანადგურებს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას, ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს“.

4. აღკვეთის ღონისძიების მიზანშეწონილობის შესახებ

მტკიცების ტვირთი

აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მიზანშეწონილობისა და შესაბამისი ღონისძიების შეფარდების მტკიცების ტვირთი მთლიანად ბრალდების მხარეს ეკისრება. შესაბამისად, ბრალდების მხარე არის ვალდებული დაასაბუთოს აღკვეთის ღონისძიების შეფარდების აუცილებლობა და მოითხოვოს ასევე კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების შეფარდება. ამასთანავე, აუცილებლად უნდა მოხდეს იმაზე მითითება, რომ სხვა ნაკლებად მძიმე აღკვეთის ღონისძიებით დასაბუთებული მიზნის მიღწევა შეუძლებელია.

უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არსად არ არის განსაზღვრული იმპერატიულად, რომ პროკურორმა აუცილებლად უნდა მოითხოვოს რომელიმე აღკვეთის ღონისძიების შეფარდება. როგორც უკვე ვისაუბრეთ, აღკვეთის ღონისძიებას უნდა გააჩნდეს კონკრეტული საფუძველი და თუ ეს საფუძველი არ არის სახეზე შესაბამისად, არც არის საჭიროება პროკურორმა მოითხოვოს აღკვეთის ღონისძიების შეფარდება. სრულიად შესაძლებელია პირის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა მიმდინარეობდეს ისე, რომ რაიმე სახის აღკვეთის ღონისძიება არ ჰქონდეს შეფარდებული. იმ შემთხვევაში, როდესაც პროკურორი შუამდგომლობით მიმართავს მოსამართლეს აღკვეთის ღონისძიების შეფარდების თაობაზე, მოსამართლემ აღნიშნულის განხილვისას უნდა გაითვალისწინოს, როგორც აღკვეთის ღონისძიების მიზანშეწონილობის, ასევე მიზანშეუწონლობის საკითხი. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის წარდგენისას პროკურორი ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობა და სხვა ნაკლებად მძიმე აღკვეთის ღონისძიების მიზანშეუწონლობა. ბრალდების მხარემ უნდა დაადასტუროს, რომ არსებობს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველი. დაასაბუთოს, რომ ბრალდებულისა და კონკრეტული შემთხვევის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნას კონკრეტული აღკვეთის ღონისძიება. ბრალდების მხარემ უნდა დაასაბუთოს ასევე სხვა ნაკლებად მძიმე აღკვეთის ღონისძიების

გამოყენების მიზანშეწონილობის საკითხი. თუმცა აღნიშნული არ გულისხმობს გამორიცხვის მეთოდის გამოყენებას, კერძოდ არ შეიძლება პროკურორმა ამტკიცოს კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობა და აქედან გამომდინარე დაასაბუთოს და მოითხოვოს სხვა აღკვეთის ღონისძიება. მოკლედ რომ ითქვას, აღკვეთის ღონისძიების მიზანშეწონილობის თაობაზე მტკიცების ტვირთი აკისრია პროკურორს. ბრალდების მხარემ უნდა ამტკიცოს კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების გამოსაყენებლად საკმარისი საფუძვლის არსებობა და მიზანშეწონილობა საქმის კონკრეტული ინდივიდუალური თავისებურებებიდან გამომდინარე.

იმისათვის, რომ მოთხოვნილ აღკვეთის ღონისძიებას შესაბამისი რეალური საფუძველი გააჩნდეს საჭიროა რეალური მდგომარეობის შეფასება. კერძოდ ბრალდებულისგან მომდინარე საფრთხეების, ბრალდებულის პიროვნებისა და საქმის ვითარების ანალიზი, რის შედეგადაც აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თითოეულ საფუძველს თავისი დამოუკიდებელი დასაბუთება უნდა გააჩნდეს.¹⁵ შესაბამისად, შუამდგომლობაში დასაბუთებული უნდა იყოს:

- ა) მატერიალური-ფაქტობრივი საფუძვლის არსებობა - კერძოდ, არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ბრალდებულმა ჩაიდინა დანაშაული;
- ბ) ფორმალური-საპროცესო საფუძველი - დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ აღკვეთის ღონისძიების არ გამოყენების შემთხვევაში რეალურად არსებობს ბრალდებულის მხრიდან, მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის, მიმალვის, ახალი დანაშაული ჩადენის, მტკიცებულებათა განადგურების საფრთხეები. აქ უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული საფრთხეები კონკრეტულად უნდა იყოს იდენტიფიცირებული და მათი აბსტრაქტულად გავრცელება დაუშვებელია;
- გ) გამოსაყენებელი აღკვეთის ღონისძიების პროპორციულობა.¹⁶

5. აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისას გასათვალისწინებელი გარემოებები

უნდა აღინიშნოს, რომ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე, შუამდგომლობაში, არსებული საფუძველი, რასაც ბრალდების მხარე უთითებს, უნდა იყოს კონკრეტულად და მკაფიოდ დასაბუთებული. ასევე, აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული თვითონ ბრალდებულის და კონკრეტული შემთხვევის ინდივიდუალური მახასიათებლები, რაც დამატებით გაამყარებს ან

¹⁵ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია - საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ხარვეზები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის პროცესში. თბ. 2012წ.

¹⁶ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი; თბ. 2015წ. გვ. 559

პირიქით გამორიცხავს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობას. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, „აღკვეთის ღონისძიების და მისი კონკრეტული სახის გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო ითვალისწინებს ბრალდებულის პიროვნებას, მის საქმიანობას, ასაკს, ჯანმრთელობას, ოჯახურ და ქონებრივ მდგომარეობას, მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურებას, ადრე შეფარდებული რომელიმე აღკვეთის ღონისძიების შეფარდების ფაქტს და სხვა გარემოებებს.“

როგორც ჩვენ უკვე ზემოთ ვისაუბრეთ, აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისას მოსამართლემ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ბრალდებულის და კონკრეტული შემთხვევის ინდივიდუალური თავისებურებანი. აქ შეიძლება პარალელი გავავლოთ სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილთან, რომლის მიხედვითაც სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო სხვადასხვა გარემოებებთან ერთად ითვალისწინებს დამნაშავის პიროვნებას, მის წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ და სხვა. ამ შემთხვევაშიც კანონი იმპერატიულად ავალებს მოსამართლეს, რომ ყველა საქმეს მიუდგეს ინდივიდუალურად და გაითვალისწინოს ბრალდებულის პიროვნება.

აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლში ჩამოთვლილ გარემოებებს. კერძოდ, აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისას უნდა იქნას გათვალისწინებული ის გარემოებები, რამაც ერთის მხრივ შეიძლება გაამყაროს ან მეორეს მხრივ გამორიცხოს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა.¹⁷

განვიხილოთ თითოეული გარემოება სათითაოდ:

ა) ბრალდებულის პიროვნება - აღნიშნულ გარემოებას შეიძლება ითქვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას. აქ ჩვენ უნდა მოვიაზროთ ბრალდებულის წარსული და მისი ნასამართლეობა, რომელიც მოხსნილი ან გაქარწყლებული არ არის. უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელობა არ უნდა მივანიჭოთ მხოლოდ და მხოლოდ ნასამართლეობის „მშრალ“ ფაქტს. უნდა იქნას გათვალისწინებული თუ რამდენჯერ იქნა ბრალდებული გასამართლებული, როდის და რა დანაშაულებისთვის, ხომ არ გამოყენებულა მის მიმართ შეწყალება, სასჯელის შემცირება და ა.შ. ბრალდებულის პიროვნებაზე ასევე მნიშვნელოვნად მეტყველებს არის თუ არა ადმინისტრაციულსახდელდადებული და თუ არის, რის გამო. მაგალითად, პირი სახდელდადებული არის წვრილმანი ხულიგნობისთვის, ან ნარკოტიკული

¹⁷ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი; თბ. 2005წ.გვ.561

საშუალების მცირე ოდენობით მოხმარებისთვის - შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ პირს ახასიათებს დევიანტური ქცევები და ნეგატიურ ჭრილში წარმოჩნდეს იგი მოსამართლის წინაშე. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პიროვნების დახასიათებისას აღნიშნულს მხოლოდ მცირე მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს და უნდა შეადგენდეს „მოზაიკის“ ერთ ნაწილს, რომელიც სხვა ფაქტებთან ერთობლიობაში გვიხატავს ბრალდებულის პიროვნების სურათს. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 14 მაისის განჩინება ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენისა და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე, სადაც მოსამართლე სხვა გარემოებებთან ერთად მიუთითებს ბრალდებულის პიროვნებაზე, მის წარსულზე. კერძოდ „ბრალად შერაცხული ქმედების ხასიათის და სპეციფიკის, ასევე ბრალდებულის პიროვნების გათვალისწინებით, კერძოდ ის რომ, ბრალდებული წარსულში არაერთხელ არის ნასამართლევი განზრახი მძიმე კატეგორიის დანაშაულების ჩადენისათვის მათ შორის საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ძალადობრივი ხასიათის, კერძოდ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით

გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.ის ფაქტი, რომ აღნიშნული განაჩენებით დანიშნული სასჯელები არ აღმოჩნდა მისთვის შემაკავებელი ხასიათის და ნასამართლობის გაქარწყლებამდე იგი კვლავ იმხილება განზრახი განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენაში, მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ აღნიშნული განაჩენებით დანიშნული სასჯელის მიზნები ვერ იქნა მიღწეული და არ მოხდა მსჯავრდებულის რესოციალიზაცია.“¹⁸ გარდა ნასამართლეობისა, ბრალდებულს ნეგატიურად ან პოზიტიურად შესაძლოა ახასიათებდეს მისი წარსულიდან სხვა მომენტებიც. მაგალითად, მონაცემები სწავლისადმი და შრომისადმი დამოკიდებულების შესახებ, მიღებული ჯილდოები, სამსახურეობრივი წახალისებები ¹⁹ . აქ უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებელი შესაძლოა იყოს უბნის ინსპექტორი, ვის უბანშიც არის ჩაწერილი ეს პიროვნება. იგი შესაძლოა ფლობდეს მოსამართლისთვის საინტერესო ინფორმაციას ბრალდებულის პიროვნების შესახებ. გარდა ამისა უნდა გადამოწმდეს იგი შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ბაზებში - თუ არის შემჩნეული რაიმე ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაშიდასხვა.

ბ) ბრალდებულის საქმიანობა - პროფესორ იური გაბისონიას მიხედვით, ბრალდებულის საქმიანობის თაობაზე მონაცემები მეტად მნიშვნელოვნად ავსებს ბრალდებულის პიროვნულ მახასიათებლებს. კერძოდ საინტერესოა თუ რას

¹⁸ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 14 მაისის განჩინება; საქმე N⁰-----

¹⁹ იური გაბისონია - აღკვეთის ღონისძიებანი სისხლის სამართლის პროცესში; თბ 2003 წ. გვ.63

საქმიანობდა, რას საქმიანობს ამჟამად ბრალდებული. სად მუშაობს, რა საქმიანობას ეწევა, ინახავს თუ არა ოჯახს საკუთარი შემოსავლით, მიუღია თუ არა ბრალდებულს სხვადასხვა საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობაში მონაწილეობა და სხვა.²⁰ გ) ბრალდებულის ასაკი - შეიძლება ითქვას ბრალდებულის ასაკი მისი პიროვნების დამახასიათებელი ერთ-ერთი გარემოებაა. ზოგიერთ შემთხვევაში, ბრალდებულის ასაკიდან გამომდინარე, შესაძლოა ვიმსჯელოთ კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების, მაგალითად პატიმრობის გამოყენების მიზანშეწონილობის ან მიზანშეუწონლობის თაობაზე.

კერძოდ შესაძლოა ბრალდებული იყოს 14 წლის და მისი მცირე ასაკიდან გამომდინარე შესაძლოა იგი სხვებმა აიყოლიეს, მისი მორალური ფასეულობანი ჯერ არ ჩამოყალიბებულა და მისთვის პატიმრობის შეფარდება გამოიწვევდა ისეთ გარემოში მოხვედრას, რომელიც აუცილებლად ნეგატიურ ზეგავლენას იქონიებს ბრალდებულის პიროვნებაზე, ან პირიქით პიროვნება იმდენად ხანდაზმულია, რომ მისგან არანაირი საფრთხე არ მომდინარეობს და ვერც მართლმსაჯულებას ვერ მიემალება.

დ) ბრალდებულის ჯანმრთელობა - ჰუმანურობის პრინციპიდან გამომდინარე ბრალდებულის ჯანმრთელობა მითითებულია აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას გასათვალისწინებელ ერთ-ერთ გარემოებად. შესაძლოა ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, მაგალითად იგი მწოლიარე მძიმე ავადმყოფია, გაამყაროს აღკვეთის ღონისძიების, გამოყენების მიზანშეუწონლობა.

ე) ბრალდებულის ოჯახური და ქონებრივი მდგომარეობა - პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისას უნდა გავითვალისწინოთ ბრალდებულის ოჯახური მდგომარეობა. საერთო ჰუმანურობის პრინციპიდან გამომდინარე მოსამართლემ უნდა გაითვალისწინოს ბრალდებულის მძიმე ოჯახური მდგომარეობა. ამგვარ მდგომარეობად შეიძლება ჩაითვალოს შემთხვევა როდესაც, ბრალდებული ერთადერთი მარჩენალია ოჯახის, რომელსაც ყავს არასრულწლოვანი შვილი, ან ინვალიდი ოჯახის წევრი, ან მძიმედ ავადმყოფი მშობლები - შესაბამისად, არც კარგი ქონებრივი მდგომარეობა არ გააჩნიათ და ბრალდებულისთვის, მაგალითად გირავნობის ან პატიმრობის შეფარდება მიზანშეუწონელი იქნებოდა.

ვ) ბრალდებულის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება - აღნიშნულ გარემოებას საკმაოდ სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ. კერძოდ იგი შესაძლოა იქნას გამოყენებული მხოლოდ როგორც დამხმარე ფაქტორი, რადგან ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა არ წარმოადგენს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანს. შესაძლებელია ბრალდებული არ აღიარებდეს დანაშაულს და

²⁰ იური გაბისონია - აღკვეთის ღონისძიებანი სისხლის სამართლის პროცესში; თბ 2003 წ. გვ.63

არ თანამშრომლობდეს გამოძიების ორგანოებთან - შესაბამისად უარს აცხადებდეს ზიანის ანაზღაურებაზე - რაც თავისთავად ბრალდებულის უფლებაა და ვერ იქნება გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების გამოყენების დასასაბუთებლად.²¹ ასევე შესაძლებელია ბრალდებულს სურვილი ჰქონდეს, რომ აანაზღაუროს მიყენებული ქონებრივი ზიანი, თუმცა მისი ქონებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე შეუძლებელი იყოს.

აქედან გამომდინარე, განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოეკიდოს აღნიშნულ გარემოებას მოსამართლე და განსაზღვროს ზიანის ანაზღაურების ან არ ანაზღაურების რეალური მიზეზები. ზ) ბრალდებულის მიერ აღრე შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების დარღვევის ფაქტი - იმ შემთხვევაში თუ ბრალდებულს შეფარდებული ჰქონდა რომელიმე აღკვეთის ღონისძიება და მან დაარღვია მის მიერ ნაკისრი ვალდებულებანი ეს საფუძველია უკვე იმისა, რომ მას შეეფარდოს უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიება. თუმცა უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, თუ რამ გამოიწვია ეს დარღვევა. იმ შემთხვევაში თუ ბრალდებულმა განზრახ დაარღვია კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების პირობები, პროკურორი სსსკ-ის 206-ე მუხლის თანახმად, მიმართავს მოსამართლეს აღკვეთის ღონისძიების შეცვლის და დამძიმების თაობაზე. ამის საპირისპიროდ შესაძლოა ბრალდებულს არც სურდეს მის მიერ ნაკისრი ვალდებულების დარღვევა თუმცა გარკვეული გარემოების გამო ასე მოხდა. მაგალითისთვის, ბრალდებულს, რომელსაც შეფარდებული ჰქონდა ქალაქიდან გაუსვლელი და შესაბამისი ქცევა, და მძიმედ ავად გაუხდა და მის სანახავად საჩქაროდ წავიდა ქალაქიდან. მოკლედ რომ ითქვას, უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტორი თუ რამ გამოიწვია აღრე შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების პირობების დარღვევა.

თ) სხვა გარემოებანი - სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ყველა გარემოებას ამომწურავად ვერ ჩამოთვლის, თუ რას უნდა მიაქციოს მოსამართლემ ყურადღება - შესაბამისად, აღნიშნული აძლევს მოსამართლეს უფლებას, მოახდინოს ლავირება და თვითონ გადაწყვიტოს ზოგიერთ შემთხვევაში რას მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას. პროფესორი იური გაბისონია „სხვა გარემოებებში“ მოიაზრებს დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ (პოსტკრიმინალური ქცევა), მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს თუ ხერხს და სხვა.²²

²¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი; თბ. 2015წ.გვ 562

²² იური გაბისონია - აღკვეთის ღონისძიებანი სისხლის სამართლის პროცესში; თბ 2003 წ. გვ.71

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლემ ყურადღება უნდა გაამახვილოს ყველა იმ გარემოებაზე რაც ახასიათებს ზოგადად ბრალდებულის პიროვნებას და კონკრეტულ შემთხვევას. აღნიშნული გარემოებები წარმოადგენენ „მოზაიკურ ფრაგმენტებს“ და ისინი უნდა დავინახოთ მთლიანობაში, რაც წარმოგვიჩენს საერთო „სურათს“, რის მიხედვითაც უკვე მოსამართლემ უნდა გადაწყვიტოს მიზანშეწონილია თუ არა აღკვეთის ღონისძიების შეფარდება ზოგადად ან რომელი აღკვეთის ღონისძიება შეუფარდოს ბრალდებულს.

მეორე თავი

1. აღკვეთის ღონისძიების სახე - პატიმრობა

აღკვეთის ღონისძიებებიდან, ყველაზე უფრო მძიმე აღკვეთის ღონისძიებას წარმოადგენს პატიმრობა. საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადამიანი უდანაშაულოდ მიიჩნევა ვიდრე არ დამტკიცდება საწინააღმდეგო სასამართლოს მიერ კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით. ამ დროს იზღუდება ადამიანის ერთ-ერთი ძირეული უფლება - ადამიანის თავისუფალი მიმოსვლის უფლება.

პატიმრობის სიმძიმეიდან და განსაკუთრებული ხასიათიდან გამომდინარე, პატიმრობას გააჩნია საგამონაკლისო ხასიათი. კერძოდ მისი გამოყენება დასაშვებია მხოლოდ კანონით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში, როდესაც სხვა ნაკლებად-მძიმე აღკვეთის ღონისძიებით დასახული მიზნის მიღწევა შეუძლებელია. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, პატიმრობა არის აღკვეთის ღონისძიება, როდესაც ბრალდებულის თავისუფლების აღკვეთა სპეციალურ საპატიმრო დაწესებულებაში ხდება. აქ საინტერესო აღსანიშნავია 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომლის მიხედვითაც პატიმრობის გამოყენება დასაშვებია იყო იმ შემთხვევაში თუ პირს ბრალი ედებოდა ისეთ დანაშაულის ჩადენაში, რომლისთვისაც კანონით იყო გათვალისწინებული 2 წელზე მეტი ხნით თავისუფლების აღკვეთა. დღევანდელი რედაქციით კი, სსსკ-ის 205-ე მუხლის თანახმად, პატიმრობის გამოყენება დასაშვებია იმ შემთხვევაში თუ გვაქვს მისი გამოყენების საფუძველი და იგი ერთადერთი საშუალებაა დასახული მიზნების მისაღწევად. პატიმრობის შეფარდებით ხდება ადამიანის მკაცრი იზოლაცია საზოგადოებისგან, ბრალდებულს ეზღუდება თავისუფალი მიმოსვლის უფლება. ამასთანავე, შესაძლოა მოხდეს მისი ფსიქოლოგიური ტრამვირება, პატიმრობამ შესაძლოა გამოიწვიოს „სტიგმატიზაცია“, მიეკრას საზოგადოების მიერ დამნაშავის იარლიყი. ხდება საჭიროება იმისა, რომ

სახელმწიფომ გაიღოს მისი შენახვის ხარჯები საპატიმრო დაწესებულებაში, ხშირად ხდება საპატიმრო დაწესებულებების გადავსება. ყოველივე ეს, მცირე ჩამონათვალია იმისა თუ რა უარყოფითი შედეგები მოსდევს პატიმრობის გამოყენებას. შესაბამისად, პატიმრობის გამოყენების აუცილებლობა უნდა იყოს სახეზე და ეს აუცილებლობა უნდა აღემატებოდეს ყველა სხვა დანარჩენ უარყოფით მხარეებს. ეს აუცილებლობა იმ შემთხვევაში იქნება სახეზე თუ ბრალდების მხარე მოახდენს იმის არგუმენტირებას, რომ კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, ამ შემთხვევაში, სხვა ნაკლებად მძიმე აღკვეთის ღონისძიებით ვერ მოხდება იმის უზრუნველყოფა, რომ ბრალდებული არ მიემალოს გამოძიებას, არ გაანადგუროს საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებები, ზეწოლა არ მოახდინოს სავარაუდო მოწმეებზე, ან არ ჩაიდინოს ახალი დანაშაული.

რაც შეეხება არასრულწლოვნების საკითხს, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებული არის არასრულწლოვანი, მოქმედებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომელიც მიღებულ იქნა 2015 წლის 12 ივნისს. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის პირველი მუხლის თანახმად, ეს კოდექსი ადგენს არასრულწლოვნის ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, არასრულწლოვნის მონაწილეობით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების და სისხლის სამართლის პროცესის თავისებურებებს, სასჯელისა და სხვა ზომების აღსრულების სპეციალურ წესებს. მისი მიზანია: მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვა, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია, არასრულწლოვანი დაზარალებულისა და არასრულწლოვანი მოწმის უფლებათა დაცვა, არასრულწლოვანი დაზარალებულისა და არასრულწლოვანი მოწმის მეორეული ვიქტიმიზაციისა და არასრულწლოვანი დაზარალებულის ხელახალი ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა. ეს კოდექსი გამოიყენება კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის, არასრულწლოვანი დაზარალებულისა და არასრულწლოვანი მოწმის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობისას. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი არის 18 წლამდე ასაკის პირი, რომლის მიმართაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად, არასრულწლოვანის დაკავებიდან არაუგვიანეს 48 საათისა პროკურორმა უნდა წარუდგინოს მაგისტრატ მოსამართლეს შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების შეფარდების თაობაზე. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-60 მუხლის მიხედვით არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით შეიძლება გამოყენებულ იქნეს მეთვალყურეობაში გადაცემა, შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, პირადი თავდებობა, გირაო, პატიმრობა. ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე ღონისძიება. ქვემოთ მოკლედ განვიხილავთ პატიმრობას.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 64-ე მუხლის მიხედვით: არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიება პატიმრობის გამოყენება დასაშვებია შემდეგ გარემოებათა ერთობლიობისას:

1. სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა;

2. პატიმრობა ერთადერთი საშუალებაა, რომელიც უზრუნველყოფს, რომ თავიდან იქნეს აცილებული არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმალვა, მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ან მტკიცებულებების მოპოვებისათვის ხელის შეშლა ან ახალი დანაშაულის ჩადენა;

3. მიზანი, რომელსაც არასრულწლოვანი ბრალდებულის პატიმრობა ემსახურება, აღემატება მისი თავისუფლების ინტერესს.

წინასასამართლო სხდომამდე, პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 40 დღეს. წინასასამართლო სხდომაზე, მოსამართლე ვალდებულია, თავისი ინიციატივით განიხილოს პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხი, მიუხედავად იმისა, დააყენა თუ არა მხარემ შუამდგომლობა პატიმრობის შეცვლის ან გაუქმების შესახებ. ამის შემდეგ იგი ვალდებულია თავისი ინიციატივით, ყოველ 20 დღეში ერთხელ მაინც განიხილოს პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხი. პატიმრობის გაგრძელების, შეცვლის ან გაუქმების საკითხის განხილვისას მტკიცების ტვირთი ბრალდების მხარეს ეკისრება. არასრულწლოვანი ბრალდებულის პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს.

აღნიშნული შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში. კერძოდ, პატიმრობაში („ჯერ გაუსამართლებელი“) არასრულწლოვნები ითვლებიან უდანაშაულოდ და სასამართლოს მიერ საქმის

განხილვამდე, არასრულწლოვნის დაკავება მაქსიმალურად უნდა იქნას არიდებული და გამოყენებულ უნდა იქნას მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევებში. მაქსიმალური ძალისხმევა უნდა იქნეს გამოყენებული, რათა შეფარდებულ იქნას ალტერნატიული ღონისძიება. როდესაც აღკვეთის ღონისძიების სახით გამოიყენება პატიმრობა, სასამართლოებმა და საგამომიებო ორგანოებმა მაქსიმალურად სწრაფად უნდა განიხილონ მსგავსი საქმეები.²³ შეიძლება ითქვას არასრულწლოვნების შემთხვევაში, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პატიმრობის შეფარდების საკითხს. მართალია პატიმრობის შეფარდების საფუძვლები იგივეა, თუმცა განსხვავება არის პატიმრობის ვადებში. პატიმრობის შეფარდების საფუძვლები უნდა დადასტურდეს აუცილებლად კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებებით და არა ზოგადად აპელირებით დანაშაულის სიმძიმესა და მოსალოდნელი სასჯელის სიმკაცრეზე, რაც ხშირად გვხვდება პრაქტიკაში. სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიამ 2014 წლის 18 დეკემბრის განჩინებაში აღნიშნა, რომ დაპატიმრების თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს მყარ არგუმენტაციას. სასჯელის სიმკაცრე გასათვალისწინებელი ფაქტორია მიმალვის საფრთხის შეფასებისას, თუმცა მასზე აბსტრაქტულად მითითება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს პატიმრობის შეფარდებას²⁴. პატიმრობის გამოყენებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ბრალდებულთან დაკავშირებით არსებული კონკრეტული და ინდივიდუალური მახასიათებლები, რამაც უნდა შექმნას ან გამორიცხოს პატიმრობის გამოყენების შესაძლებლობა²⁵.

უნდა ითქვას, რომ პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც პატიმრობის გამოყენებისთვის, პროკურორი ყველა წინაპირობაზე აპელირებს, რაც უნდა აღინიშნოს, რომ არ ზრდის შუამდგომლობის დასაბუთებულობის ხარისხს.

საქმეში, ფაცურია საქართველოს წინააღმდეგ“ ნათლად ჩანს ის შემთხვევა, როდესაც პატიმრობის გამოყენება რაიონული სასამართლოს მიერ მოხდა აბსოლუტურად დაუსაბუთებლად. ამის საპირისპიროდ მისი დასაბუთება მოხდა სტანდარტული, შაბლონური არგუმენტაციით, აბსტრაქტულ დებულებებზე დაყრდნობით, რომ სასჯელის სიმკაცრიდან გამომდინარე ბრალდებული მიემალება გამოძიებას, ხელს შეუშლის მართლმსაჯულებას.

²³ გაეროს ბავშვთა ფონდი - საერთაშორისო სტანდარტები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში თბ. 2011 წ. გვ.54

²⁴ თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2014 წლის 18 დეკემბრის განჩინება, საქმე #18/1282

²⁵ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი; თბ. 2015წ.გვ.592

ყოველივე აღნიშნულზე დაყრდნობით კი დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი.²⁶

აღნიშნულიდან გამომდინარე უნდა ითქვას, რომ ბრალდებულისთვის პატიმრობის შეფარდება განსაკუთრებულ შემთხვევებში უნდა მოხდეს და ამასთანავე, თითოეული შემთხვევა გულდასმით უნდა შემოწმდეს, ვინაიდან მის დასასაბუთებლად ყოველთვის ერთი სტანდარტის ფორმალურად გამოყენება არ გამოდგება. არ უნდა მოხდეს ადამიანის უფლებების გაუმართლებელი შეზღუდვა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს არასრულწლოვან ბრალდებულებს და მათთვის პატიმრობის შეფარდების საკითხს.

4. პატიმრობის გამოყენების საფუძვლები

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება, გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ეს ერთადერთი საშუალებაა, რათა თავიდან იქნეს აცილებული:

- ბრალდებულის მიმალვა და მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელისშეშლა;
- ბრალდებულის მიერ მტკიცებულებათა მოპოვებისთვის ხელის შეშლა;
- ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენა.

2.2 მიმალვის საფრთხე

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლი პატიმრობის გამოყენების ერთ-ერთ საფუძვლად უთითებს მიმალვის საფრთხეს. კერძოდ მისი გამოყენება დასაშვებია თუ ეს ერთადერთი საშუალებაა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ბრალდებულის მიმალვა ან მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელის შეშლა.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო პატიმრობის შეფარდების თაობაზე შუამდგომლობის განხილვას დიდი სიფრთხილით უნდა მიუდგეს, უნდა არსებობდეს რეალური დასაბუთება იმისა, რომ შესაძლოა

²⁶ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი; თბ. 2015წ.გვ.592

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე, Pacuria v Georgia

ბრალდებული მიემალოს გამოძიებას ან სხვანაირად შეუშალოს ხელი მართლმსაჯულების განხორციელებას. ამისთვის კი, პროკურატურას უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი რეალური მტკიცებულებები. მაგალითად, პირს გააჩნია ცუდი დამოკიდებულება გამოძიების ორგანოებთან და არ თანამშრომლობს მათთან, წარმოდგენილია მიმალვის გეგმის დამადასტურებელი მტკიცებულებები, აქვს საზღვარგარეთ კავშირები, გააჩნია უძრავი ქონება საზღვარგარეთ, შეუძლია მარტივად გადაკვეთოს ქვეყნის საზღვარი და სხვა. აღსანიშნავია, რომ რომელიმე ფაქტორის არსებობა აუცილებლად არ მიუთითებს იმაზე, რომ პირი შესაძლოა მიემალოს გამოძიებას. აუცილებელია ბრალდებულის სუბიექტური დამოკიდებულების გათვალისწინებაც. უნდა იქნეს გათვალისწინებული სხვა გარემო ფაქტორები, რაც შესაძლოა შემაკავებელი ფაქტორი აღმოჩნდეს ბრალდებულისთვის.

ამის ნათელი მაგალითია, როდესაც ბრალდებულს აქვს სტაბილური, კარგი სამსახური, ჰყავს ოჯახი, გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, აქვს უძრავი ქონება და სხვა.²⁷

რიგ შემთხვევებში მიმალვის საფრთხეზე მითითება აბსტრაქტულად, დაუსაბუთებლად ხდება, რაც დაუშვებელია. ყველაზე ხშირად მოსამართლე შეცდომას უშვებს მაშინ, როდესაც მიუთითებს დანაშაულის სიმძიმესა და მოსალოდნელი სასჯელის სიმკაცრეზე, მიიჩნევს რომ ეს საკმარისი საფუძველია ვივარაუდოთ ბრალდებულის შესაძლო მიმალვის თაობაზე. მსგავსი შეცდომის ნათელი მაგალითია სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2014 წლის 18 დეკემბრის განჩინება აღკვეთის ღონისძიების თაობაზე. კერძოდ აქ სასამართლო პირდაპირ მიუთითებს: „დაპატიმრების თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს მყარ არგუმენტაციას.... პროკურორმა მიმალვის საშიშროება ახსნა დანაშაულის სიმძიმისა და მკაცრი სასჯელის მოშველიებით“. აღნიშნული განჩინებით საგამომიებო კოლეგიამ პირველი ინსტანციის პატიმრობის განჩინება შეცვალა გირაოთი, მიუთითა რა დანაშაულის სიმძიმე და სასჯელის სიმკაცრე მართალია გასათვალისწინებელი ფაქტორია აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას, თუმცა მხოლოდ აბსტრაქტულად მათი მითითება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს პატიმრობის შეფარდებას.²⁸ კიდევ ერთი მაგალითია თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 16 აგვისტოს განჩინება ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენისა და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე. სადაც სასამართლო ბრალდებულს პატიმრობას შეუფარდებს და ასაბუთებს მას შემდეგნაირად: „სასამართლო მიიჩნევს, რომ პროკურორის მიერ დასაბუთებულია ----- მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების აუცილებლობა, ვინაიდან ----- ბრალად ედება განზრახ ისეთი განზრახი დანაშაულის 4 ჩადენა, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს მხოლოდ თავისუფლების აღკვეთას, რისი გათვალისწინებითაც დასაბუთებულია ვარაუდი, რომ მოსალოდნელი მკაცრი სასჯელის შიშით ბრალდებული შესაძლოა მიიმალოს ან არ გამოცხადდეს

²⁷საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი; თბ.2015წ.გვ. 594

²⁸ თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2014 წლის 18 დეკემბრის განჩინება, საქმე #1გ/1282

სასამართლოში²⁹ აღნიშნულის საპირისპიროდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 2 ივლისის განჩინებით სასამართლო არ აკმაყოფილებს ბრალდების მხარის შუამდგომლობას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების თაობაზე შემდეგი არგუმენტაციით:

„ბრალდების მხარის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ბრალდებული შესაძლოა მიიძღლოს და თავი აარიდოს სასამართლოსა და გამოძიების ორგანოებში გამოცხადებას არის აბსტრაქტულად დასაბუთებული და არ ეყრდნობა კონკრეტულ ფაქტებს, რასაც სასამართლო ვერ გაიზიარებს. მითუმეტეს რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მის არაერთ გადაწყვეტილებაში მკაფიოდ უთითებს, რომ მოთხოვნის არგუმენტაცია არ უნდა იყოს აბსტრაქტული ყველა გარემოებების მხედველობაში მიღების გარეშე. სასამართლო განმარტავს, რომ მიმალვის საფრთხე შეიძლება გონივრულად დადგინდეს ისეთ ფაქტორებზე მითითებით როცა, პირს ადრეც უცდია კანონიერი სასჯელისთვის თავის დაღწევა ქვეყნიდან მიმალვით ან/და არსებობს მიმალვის გეგმის კონკრეტული ნიშნები. ბრალდების მხარეს კი აღნიშნულის თაობაზე რაიმე დასაბუთებული არგუმენტაცია არ წარმოუდგენია, ის გარემოება კი, რომ მოსალოდნელი სასჯელი მკაცრია და ბრალი ედება ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის შესაძლო ჩადენაში მარტო აღებული არ წარმოადგენს მიმალვის საფრთხის გამართლების საშუალებას.“³⁰ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთგზის განმარტა, რომ მხოლოდ მოსალოდნელი მკაცრი სასჯელი არ შეიძლება დაედოს საფუძველად პატიმრობის შეფარდებას და იგი უნდა იყოს გამყარებული სხვა მტკიცებულებებით.

სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად მიმალვის საფრთხის დამადასტურებელი მტკიცებულება შეიძლება იყოს:

- ა) საზღვარგარეთ გამგზავრების რეალური შესაძლებლობა;
- ბ) ქონების გაყიდვა და თავისუფალი ფულადი სახსრების ქონა;
- გ) საზღვარგარეთ არსებული ქონება და ფულადი სახსრები;
- დ) უკონტროლო ტერიტორიაზე ხელმისაწვდომობა;
- ე) საზღვარგარეთ მოქალაქეობის მიღების რეალური პერსპექტივა.³¹

თუმცა როგორც უკვე აღვნიშნე, აღნიშნული საფრთხე მთლიანობაში უნდა შეფასდეს. უნდა დადასტურდეს არამარტო ბრალდებულის ობიექტური შესაძლებლობა, არამედ მისი სუბიექტური დამოკიდებულებაც. მიმალვის საფრთხესთან დაკავშირებით, თუ მხოლოდ ამ საფუძველზე ხდება მითითება - სასამართლომ მკაფიოდ უნდა დასაბუთოს თუ რატომ არის პატიმრობის აუცილებლობა, ვინაიდან მისი უზრუნველყოფა შეიძლება პასპორტისა და სამგზავრო დოკუმენტის ჩამორთმევით, სხვა აღკვეთის ღონისძიების შეფარდებით. მართალია, შესაძლოა, ბრალდებულმა ქვეყანა არც დატოვოს და ქვეყნის ტერიტორიაზე მიიძღლოს, თუმცა, ჩვენი აზრით, ჩვენს ქვეყანაში, რომელიც საკმაოდ პატარაა, არც თუ ისე მარტივია მიემალო მართლმსაჯულებას.

²⁹ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 16 აგვისტოს განჩინება, საქმე №-----

³⁰ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 2 ივლისის განჩინება, საქმე №-----

³¹ ნინო ხაინდრავა, ბესარიონ ბოხაშვილი, თინათინ ხიდაშელი - წინასწარი პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა სამართლის ანალიზი. 2010წ. გვ 51

პატიმრობის შეფარდებისას, უნდა გადაწყდეს ყოველი ბრალდებულის ინდივიდუალური მახასიათებლებიდან გამომდინარე, მოსამართლის შინაგანი რწმენის საფუძველზე.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ მიმალვის საფრთხეზე როდესაც ხდება მითითება, აღნიშნული არ უნდა იყოს აბსტრაქტულად წარმოჩენილი. პპრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც ბრალდების სიმძიმეზე ხდება ყურადღების გამახვილება და აქედან გამომდინარე ასაბუთებენ მიმალვის საფრთხეს, რაც არასწორი და მანკიერი პრაქტიკაა. იმისათვის, რომ შესრულდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიერ დადგენილი სტანდარტები სასამართლოს ეკისრება ვალდებულება აღკვეთის ღონისძიების განხილვისას ყველა საქმეს ინდივიდუალურად მიუდგეს და აბსტრაქტული და შაბლონური განცხადებებით არ დაასაბუთოს ამა თუ იმ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების აუცილებლობა. წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის დარღვევა, რაც უარყოფითად აისახება ქვეყნის ეროვნული სასამართლო სისტემის იმიჯზე.

2.3 მტკიცებულებათა მოპოვებისთვის ხელის შეშლის საფრთხე

სსსკ-ის 205-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პატიმრობის გამოყენების კიდევ ერთი საფუძველია თუ არსებობს საფრთხე იმისა, რომ ბრალდებული შეეცდება ხელი შეუშალოს გამოძიებას მტკიცებულებათა მოპოვებაში. რაც გულისხმობს ან მტკიცებულებათა განადგურებას, ან მოწმეებზე ზემოქმედების მოხდენას.

მტკიცებულებათა განადგურება შესაძლოა მრავალნაირად განხორციელდეს. მაგალითად, ნივთიერი მტკიცებულებათა ფიზიკური სუბსტანციის განადგურებით (დოკუმენტების განადგურება, მტკიცებულების დამტვრევა, გადამალვა). შესაძლოა, ასევე მტკიცებულება ფიზიკურად არ იყოს განადგურებული, თუმცა მათი ნიშან-თვისებათა არსებითად გამოცვლის გამო იგი მტკიცებულებად აღარ განიხილება. მაგალითად, დანაშაულის ადგილის მოსუფთავება, ცეცხლსასროლ იარაღზე აღბეჭდილი კვალის წაშლა და სხვა. აღნიშნული საფუძვლის მითითებისას მთავარია საფრთხის არსებობის დადასტურებისთვის წარმოდგენილ იქნეს კონკრეტული გარემოებები და ფაქტები რომელიც მიუთითებს ბრალდებულის მიერ მტკიცებულებათა განადგურების ან მოწმეთა ზემოქმედების განზრახვის შესახებ.³²

³² საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი; თბ. 2015წ.გვ. 598

საინტერესოა განვიხილოთ სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2013 წლის 24 აგვისტოს განჩინება აღკვეთის ღონისძიების შეფარდების თაობაზე. ამ განჩინებაში კარგად ჩანს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ განიხილა აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხი - არ დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა პატიმრობის თაობაზე და შეუფარდა ბრალდებულს გირაო. თუმცა პროკურორის გასაჩივრების შემდგომ, საგამომიებო კოლეგიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და ბრალდებულს გირაო შეუცვალა პატიმრობით - მტკიცებულებათა განადგურებაზე საფრთხის მითითებით. კერძოდ სასამართლომ განმარტა: „გამომიების ამ ეტაპზე დაუდგენელია, როგორც ცეცხლსასროლი იარაღებისა და საბრძოლო მასალის, ისე ნარკოტიკული საშუალებების წარმომავლობა და მათი გამსაღებლების ვინაობა, ხოლო ბრალდებული არ თანამშრომლობს გამოძიებასთან... იმავდროულად, დადგენილია, რომ ბინის ჩხრეკის დაწყებამდე ბრალდებული შეეცადა გადაემალა დასახელებული კანონით აკრძალული ნივთები, რაც პირდაპირ მიუთითებს მის მიერ დანაშაულში მამხილებელი მტკიცებულებების მოპოვებაში ხელის შეშლასა და მათი ან სხვა მტკიცებულებების განადგურების საფრთხეზე, რაც მომავალშიც არ არის გამორიცხული. სასამართლოს მიაჩნია, რომ მტკიცებულებების მოპოვების თვალსაზრისით არსებული საფრთხე საქმეზე მანამდე იარსებებს, სანამ არ დადგინდება ნარკოტიკული საშუალების, ცეცხლსასროლი იარაღებისა და საბრძოლო მასალის წარმომავლობა, გამსაღებლის ვინაობა, შეძენის მოტივაცია და სანამ არ მოხდება მათი შედარება ან/და იდენტიფიკაცია საექსპერტო დაწესებულებაში დაცულ ტყვია-მასროთეკის ნიმუშებთან. ამ საშიშროების თავიდან აცილება კი შესაძლებელია მხოლოდ ბრალდებულის დაპატიმრებით.“³³

ზემოთაღნიშნული ნათლად მიუთითებს იმ შემთხვევაზე, როდესაც აღნიშნული საფუძვლით პატიმრობის გამოყენება მიზანშეწონილია. არ თანამშრომლობს გამოძიებასთან, შეეცადა მტკიცებულებათა გადამალვას, არ ასახელებს თანამონაწილეებს და სხვა. ამის საპირისპიროდ აღნიშნული საფრთხე არ არსებობს, როდესაც ბრალდებული აქტიურად თანამშრომლობს გამოძიებასთან. გამოძიების მიერ მტკიცებულებათა მოპოვების ხელის შეშლა შესაძლოა განხორციელდეს ასევე მოწმეებზე ზემოქმედებით. ამ შემთხვევაშიც, ბრალდების მხარეს უნდა ქონდეს წარმოდგენილი კონკრეტული მტკიცებულებები, რომელიც მიუთითებს ბრალდებულის მხრიდან მოწმეებზე ზემოქმედების მცდელობას. ამ შემთხვევაში საინტერესოა განვიხილოთ ბრალდებულის თანამდებობა - რამდენად არის შესაძლებელი მისი მეშვეობით მოწმეებზე ზეგავლენის მოხდენა ან მტკიცებულებათა განადგურება. იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულს თანამდებობის მეშვეობით შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს მის ხელქვეით პირებზე, რომლებიც მოწმეებად გამოდიან საქმეში, ან გაანადგუროს მტკიცებულებები და არსებობს ამის დასაბუთებული ვარაუდი - ეს მაინც არ არის იმის საფუძველი, რომ მოხდეს მისთვის პატიმრობის შეფარდება.

³³ თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2013 წლის 24 აგვისტოს განჩინება, საქმე #1/გ-524

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ბრალდებულის თანამდებობიდან გადაყენებას. კერძოდ აღნიშნული რეგულირდება სსსკ-ის 159-ე, 160-ე, 161-ე მუხლებით, რომლის თანახმადაც თუ არსებობს იმის დასაბუთებული ვარაუდი, რომ ბრალდებული თანამდებობაზე დარჩენით ხელს შეუშლის გამოძიებას, ან განაგრძობს დანაშაულებრივ საქმიანობას, პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია გადააყენოს ბრალდებული თანამდებობიდან.

როდესაც ხდება პროკურორის მიერ აღნიშნული საფუძველით პატიმრობის მოთხოვნა - აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ბრალდებულის კავშირი დანაშაულებულთან ან მოწმეებთან. თუ მას გააჩნია მჭიდრო კავშირი - იზრდება იმის საფრთხე, რომ მართლა მოახდინოს მათზე ზეგავლენა ბრალდებულმა, თუმცა ბრალდების მხარემ ეს უნდა დაადასტუროს კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებებით. არ შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ მასზე აპელირება, თუ არ არის კონკრეტული მტკიცებულებები, რომელიც მიუთითებს ბრალდებულის მცდელობაზე მოახდინოს მოწმეებზე ზეგავლენა.³⁴

მტკიცებულებათა განადგურებისა და მოწმეებზე ზემოქმედებისას აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული შეგროვებული მტკიცებულებათა რაოდენობა. კერძოდ, თუ გამოძიების საწყისი ეტაპია და მტკიცებულებები ჯერ კიდევ მოსაძიებელია - ამ შემთხვევაში ეს საფრთხე უფრო მაღალია. თუმცა, თუ საქმისათვის მნიშვნელოვანი ყველა მტკიცებულება პრაქტიკულად მოპოვებულია - აღნიშნული საფრთხე რელევანტური ვერ იქნება. ასევე, უნდა გავითვალისწინოთ მოწმეთა ვინაობა და მათი საქმიანობის სპეციფიკა (მაგალითად მოწმე სამხედროა), მოწმეებთან ბრალდებულის კავშირი - თუ როგორი ტიპის არის იგი. მთავარია პროკურორს ჰქონდეს კონკრეტული მტკიცებულებები, რომელიც ადასტურებს ბრალდებულის განზრახვას შეუშალოს ხელი გამოძიებას მტკიცებულებათა მოპოვებაში.

2.3 ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პატიმრობის შეფარდების კიდევ ერთი საფუძველია, როდესაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ბრალდებული ჩაიდენს ახალ დანაშაულს. პრაქტიკაში აღნიშნული საფუძველით ხშირად ხდება პატიმრობის შეფარდება არასწორად, არამართო საქართველოში, არამედ სხვა ქვეყნებშიც.

აქედან გამომდინარე, საჭიროა დაზუსტდეს თუ რა შემთხვევაშია აღნიშნული საფუძველის გამოყენება რელევანტური.

³⁴ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი; თბ. 2015წ.გვ. 599

ამისთვის საჭიროა, რომ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეზე პროკურორის მითითებისას დაკონკრეტდეს თუ რა სახის საფრთხეა საუბარი. ეს საფრთხე აუცილებლად უნდა იყოს კონკრეტული და არა აბსტრაქტული და უნდა გამომდინარეობდეს კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებებიდან. ამის ნათელი მაგალითია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება ასენოვის საქმეზე. კერძოდ, საქმეში ასენოვი ბულგარეთის წინააღმდეგ სასამართლო პირდაპირ მიუთითებს, რომ ასენოვს ბრალი ედებოდა 16-ზე მეტი ქონებრივი დანაშაულის ჩადენაში და მართალია ამ საქმესთან დაკავშირებით გამოძიებამ იგი დაკითხა - თუმცა იგი მაინც აგრძელებდა დანაშაულებრივ საქმიანობას. მან ბოლო ქურდობა დაკავებამდე 3 დღით ადრე ჩაიდინა. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე კი სასამართლომ აღნიშნა, რომ ბულგარეთის სასამართლოებმა სწორად შეუფარდეს პატიმრობა, რადგან ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე მართლაც არსებობდა.³⁵

თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2013 წლის განჩინებაში კი, სასამართლო ნათლად ჩამოაყალიბებს, რომ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე მართლაც არსებობს ბრალდებულის პიროვნებიდან გამომდინარე. კერძოდ იგი თაღლითობის ბრალდებით 2008-2012 წლებში უკვე იყო ბრალდებული. აღნიშნული ფაქტი კი მიუთითებს, რომ იგი მიდრეკილია ანალოგიურ დანაშაულთა ჩადენისკენ.³⁶ ეს ორი მაგალითი კარგად გვიჩვენებს, რომ ბრალმდებლის აპელირება ახალი დანაშაულის ჩადენაზე უნდა იყოს დასაბუთებული, კერძოდ უნდა მოხდეს მითითება თუ რა სახის საფრთხე არსებობს, სახეზე უნდა იყოს კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები, რომელიც მიუთითებს ბრალდებულის პიროვნების ხასიათზე და მის ტენდენციურობაზე ჩაიდინოს დანაშაული. გარდა ამისა, როდესაც ბრალდებული ნასამართლევა, ბრალდების მხარემ ნათლად უნდა მიუთითოს და განსაზღვროს კავშირი ძველ და ახალ დანაშაულებს შორის, განსაზღვროს მისი პიროვნული მახასიათებლები, როგორ იქცეოდა ბრალდებული სასჯელის მოხდის შემდეგ.³⁷ 2014 წლის 18 დეკემბრის განჩინებაში სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგია აღნიშნავს: „ამ მიზეზით პატიმრობის შესაფარდებლად საჭიროა ახალი დანაშაულის ჩადენის მომასწავებელი ისეთი უტყუარი გარემოებების წარმოდგენა, რომელთა მიხედვითაც დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების აღკვეთა მხოლოდ პატიმრობით იქნება შესაძლებელი. მაგალითად, ეს შეიძლება ეხებოდეს ძალადობრივ დანაშაულს, რაც ბრალდებულში ძალადობრივი ფსიქოლოგიის არსებობასა და მოსალოდნელ რეციდივებზე მიუთითებს, რამდენიმე ერთგვაროვან დანაშაულს, რომელიც ბრალდებულის გარკვეულ მიდრეკილებაზე

³⁵ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1998 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე, Assenov and others v. Bulgaria; პარ 156

³⁶ თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2013 წლის 14 მარტის განჩინება, საქმე #1გ/157

³⁷ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი; თბ. 2015წ.გვ.602

მეტყველებს, კონკრეტული დანაშაულებრივი გეგმების არსებობა, რაც შეიძლება მოპოვებული მტკიცებულებებით დასტურდებოდეს ანდა მოვლენათა განვითარების ისეთი ჯაჭვი, რაც გარდაუვალად იწვევს სხვა დანაშაულის ჩადენას და ა.შ.“³⁸ საფრთხეზე მითითებისას აუცილებელია, რომ არსებობდეს გარკვეული კავშირი ძველ და ახალ დანაშაულებს შორის, ან ისეთი სახის დანაშაულია ჩადენილი, რომლის ხასიათიდან გამომდინარე არსებობს მისი გაგრძელების ალბათობა. მაგალითად, ოჯახური ძალადობა, ცეცხლსასროლი იარაღის ტარება, ნარკოტიკული საშუალების მოხმარება და სხვა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარების მიხედვით აღნიშნული საფუძვლით პატიმრობის შეფარდებისას მოითხოვს არა ზოგადად დანაშაულის ჩადენის საფრთხის მტკიცებას, არამედ კონკრეტული, იდენტიფიცირებადი დანაშაულის ჩადენის საფრთხის არსებობას. თუმცა ეს თავისთავად არ ნიშნავს იმას, რომ კონკრეტულად უნდა იყოს ჩამოყალიბებული როდის, რა დანაშაული შეიძლება ჩაიდინონ და ვის წინააღმდეგ შეიძლება იქნას მიმართული - მთავარია, ობიექტურად არსებობდეს ამის დასაბუთებული ვარაუდი.³⁹

დაუშვებელია პირს შევუფარდოთ პატიმრობა მხოლოდ იმ მოტივით, რომ პირს ბრალად ედება მძიმე დანაშაულის ჩადენა და აქედან გამომდინარე შესაძლოა მან ჩაიდინოს ახალი დანაშაული, სხვაგვარად ხელი შეუშალოს მართლმსაჯულების განხორციელებას და სხვა. არც პირის დაუსაქმებლობა ან თუნდაც ოჯახის უქონლობა არ მიუთითებს ახალი დანაშაულის საფრთხეზე. აქ საინტერესო აღსანიშნავია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება Polonskiy რუსეთის წინააღმდეგ, სადაც ნათლად ჩანს, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა დანაშაულის ჩადენის საფრთხე მხოლოდ ფორმალურად მიუთითეს და საფრთხე დააფუძნეს იმ ფაქტზე, რომ ბრალდებული უმუშევარი იყო. ⁴⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, საქმეში „უგულავა საქართველოს წინააღმდეგ“, ასევე განმარტა: „არ შეიძლება სასამართლომ პრეზუმირებულად ჩათვალოს აღკვეთის ღონისძიების, მათ შორის, პატიმრობის საფუძვლის არსებობა მხოლოდ იმ მიზეზით, რომ პირი ბრალდებულია, განურჩევლად იმისა, თუ რა სახის დანაშაულში ედება პირს ბრალი. ვარაუდის „ვერ გამოორიცხვის“ სტანდარტი ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველს თითქმის ყოველთვის შექმნის... აღკვეთის ღონისძიების

³⁸ თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2014 წლის 18 დეკემბრის განჩინება, საქმე #1გ/1282

³⁹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი; თბ. 2015წ.გვ.603

⁴⁰ ნინო ხაინდრავა, ბესარიონ ბოხაშვილი, თინათინ ხიდაშელი - წინასწარი პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა სამართლის ანალიზი. თბ.2010წ.გვ. 62

და, მით უფრო, წინასწარი პატიმრობის გამოყენების დასაბუთებულ ვარაუდს ბრალდების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები უნდა ქმნიდეს.“⁴¹

ყოველივე ზემოაღნიშნული კარგად მიუთითებს, რომ მოსამართლე ბრმად არ უნდა ეთანხმებოდეს პროკურორის მიერ წარდგენილ შუამდგომლობას და მან განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა განიხილოს საკითხი თუ რამდენად არსებობს იმის დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირი ჩაიდენს ახალ დანაშაულს. ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე არ უნდა იყოს აბსტრაქტულად წარმოდგენილი - სახეზე უნდა იყოს კონკრეტული გარემოებები, რაც გვაძლევს იმის საფუძველს, რომ ვიფიქროთ, მართლა არსებობს ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე. აღნიშნულს აძლიერებს ის ფაქტი, რომ ბრალდებული ნასამართლევი რომელიმე დანაშაულისთვის, ან მისი პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე, დანაშაულის განსაკუთრებული ხასიათიდან გამომდინარე სავარაუდოა რომ კვლავ ჩაიდენს დანაშაულს. თუმცა ყოველივე ეს, თუნდაც ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, არ არის აპრიორი რომ ბრალდებული მართლაც ჩაიდენს დანაშაულს.

როგორც უკვე ითქვა - აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საფუძველი არ არის მხოლოდ ის ფაქტი რომ პირს ბრალი ედება დანაშაულის ჩადენაში. პროკურორმა წარდგენილ შუამდგომლობაში მოსამართლესთან უნდა დაასაბუთოს კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, რომ არსებობს ბრალდებულის მხრიდან ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე და ამ საფრთხის აცილება სხვა ნაკლებად მძიმე აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით ვერ მოხდება.

თავი 3 აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლისა და გასაჩივრების პროცესუალური საკითხები.....

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, „ბრალდებულის წინასწარი პატიმრობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს“, ასევე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის

⁴¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის #646 გადაწყვეტილება, საქმეზე, საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს წინააღმდეგ; პარ. II - 72

მე-2 ნაწილის თანახმად, „ბრალდებულის პატიმრობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს. ამ ვადის გასვლის შემდეგ ბრალდებული უნდა გათავისუფლდეს პატიმრობიდან. ბრალდებულის პატიმრობის ვადა აითვლება მისი დაკავების მომენტიდან, ხოლო თუ დაკავება არ მომხდარა - ამ აღკვეთის ღონისძიების შერჩევის შესახებ სასამართლოს განჩინების აღსრულების მომენტიდან საქმის არსებითად განმხილველი პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე.“⁴² ზოგადად პატიმრობის მიზანია, მოახდინოს მართლმსაჯულების ხელისშემშლელი გარემოებების აღმოფხვრა, რათა უზრუნველყოფილ იქნას სისხლის სამართლის საქმის სამართლიანი განხილვა. პირის დაპატიმრება წარმოადგენს მის უფლებებში მაღალი ინტენსივობის ჩარევას, შესაბამისად, როდესაც პირი პატიმრობაში იმყოფება - სახელმწიფო ვალდებულია 9 თვის განმავლობაში ან უზრუნველყოს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა, ან გაათავისუფლოს იგი.⁴²

აღნიშნული 9 თვიანი ვადა იმპერატიულად არის განსაზღვრული. რომლის მიხედვითაც ერთ საქმეზე, ბრალდებულისთვის თავისუფლების შეზღუდვა შეგვიძლია მხოლოდ და მხოლოდ ამ ვადით. არ აქვს მნიშვნელობა თუ რამდენად რთულია საქმე გამოსაძიებლად, რამდენად შრომატევადია, რა არის მიზეზი იმისა, რომ ვერ ესწრება განაჩენის გამოტანა ამ ვადაში. შესაძლოა, სახეზე იყოს ობიექტური მიზეზები - საქმის სირთულე, საქმის მასალების მოცულობა, საქმეში გამავალ პირთა სიმრავლე, სუბიექტური მიზეზები - ადმინისტრაციული რესურსების ნაკლებობა, გამოძიების ზერელედ წარმართვა და სხვა. ვადის გასვლის შემდეგ - თუ არ იქნა განაჩენი გამოტანილი - ბრალდებული დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს პატიმრობიდან. აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 206-ე მუხლის მიხედვით, ბრალდების მხარემ, შუამდგომლობის განხილვისთვის განსაზღვრული ვადების დაცვით, უნდა დააყენოს შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შესახებ. სასამართლო პატიმრობის შეფარდების საკითხის განხილვისას, ასევე პატიმრობის მიზანშეწონილობის გადასინჯვისას, პატიმრობის ხანგრძლივობის მიუხედავად, ვალდებულია გამოიჩინოს განსაკუთრებული გულისხმიერება აღნიშნული პროცედურის განხორციელებისას. პატიმრობა უნდა იყოს ჯეროვნად დასაბუთებული. სასამართლომ უნდა უზრუნველყოს, რომ მიღებული გადაწყვეტილებები არ იყოს სტერეოტიპულად ფორმულირებული და დასაბუთება არ იყოს დეკლარაციული ხასიათის, ზოგადი ან აბსტრაქტული.⁴³ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს პატიმრობის გამოყენების აუცილებლობის გადასინჯვას, როგორც სავალდებულო წესით, ასევე

⁴² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის #646 გადაწყვეტილება, საქმეზე, საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს წინააღმდეგ; პარ. II - 31

⁴³ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი; თბ. 2015წ.გვ. 606

ნებაყოფლობით, მხარის მოთხოვნის შემთხვევაში. პირველ შემთხვევაში, ამის ვალდებულება ეკისრება მოსამართლეს. კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, „თუ ბრალდებულს პატიმრობა აქვს შეფარდებული, მოსამართლე ვალდებულია პირველივე წინასასამართლო სხდომაზე თავისი ინიციატივით განიხილოს პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხი, მიუხედავად იმისა, დააყენა თუ არა მხარემ შუამდგომლობა პატიმრობის შეცვლის ან გაუქმების შესახებ. ამის შემდეგ სასამართლო ვალდებულია თავისი ინიციატივით ორ თვეში ერთხელ მაინც განიხილოს პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხი“.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 230-ე პრიმა მუხლის თანახმად, „თუ ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობაა გამოყენებული, სასამართლო სხდომის თავმჯდომარე განაჩენის გამოტანამდე თავისი ინიციატივით პერიოდულად, ორ თვეში ერთხელ მაინც განიხილავს აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხს. ეს ორთვიანი ვადა აითვლება წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის ძალაში დატოვების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან. ამ ნაწილით გათვალისწინებული საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო ხელმძღვანელობს ამ კოდექსის 206-ე მუხლით დადგენილი წესითა და სტანდარტით.“ აღნიშნული მუხლები ავალდებულებს სასამართლოს სავალდებულო წესით გადასინჯოს პატიმრობის შეფარდების მიზანშეწონილობა ყოველ ორ თვეში ერთხელ, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ მოსამართლეს არ შეუძლია უფრო მცირე ინტერვალებითაც მოახდინოს მისი გადასინჯვა. ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს პატიმრობის გამოყენების აუცილებლობის გადასინჯვას ნებაყოფლობითობის საფუძველზე, როდესაც მხარეს შეაქვს შუამდგომლობა აღნიშნული მიზნით. აღნიშნული მოცემულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 206-ე მუხლის მე-8 ნაწილში, რომლის მიხედვითაც „მხარე უფლებამოსილია ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების შესახებ შუამდგომლობით მიმართოს მაგისტრატ მოსამართლეს გამომძიების ადგილის მიხედვით...“უნდა აღინიშნოს, რომ პატიმრობის ძალაში დასატოვებლად არ არის აუცილებელი ყოველთვის ახალი გარემოების არსებობა. მაგალითად, მიმალვის საფრთხის მტკიცებისას, ან ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხის დასაბუთებისას - როდესაც საფრთხის არსებობა გამომდინარეობს ბრალდებულის წინარე ქმედებიდან. ამის საპირისპიროდ ახალი გარემოების არსებობა, როგორც წესი, აუცილებელია მოწმეებზე ზემოქმედების ან/და მტკიცებულებათა

განადგურების საფრთხის კვლავ არსებობის მტკიცებისთვის.⁴⁴ რადგან მოწმეთა ჩვენებების და მტკიცებულებების მოპოვება, როგორც წესი, უმეტესად გამოძიების საწყის სტადიაზე სრულდება. აღნიშნულ საფუძველზე მითითებისას ბრალდების მხარემ უნდა მიუთითოს ასევე იმ ახალ გარემოებაზე რის გამოც, აღნიშნული საფრთხე კვლავ აქტუალურია.

პატიმრობის ვადასთან დაკავშირებით, აუცილებლად უნდა შევეხოთ, საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილებას, სადაც სასამართლომ იმსჯელა პატიმრობის განმეორებით გამოყენების საკითხთან დაკავშირებით. სასამართლომ საქმეზე „უგულავა საქართველოს წინააღმდეგ“ განმარტა, რომ „ბრალდებულ პირზე ზემოქმედების თვალსაზრისით, პატიმრობას უფლების შეზღუდვის ერთნაირი ეფექტი აქვს, განურჩევლად იმისა თუ რომელ დანაშაულში ბრალდებისთვის არის იგი მოთხოვნილი... საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული წინასწარი პატიმრობის ზღვრული ვადის განსაზღვრის მიზნებისათვის სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებული პირი უნდა ჩაითვალოს წინასწარ პატიმრობაში მყოფად, თუ ამ ბრალდების პერიოდში მის მიმართ ფაქტობრივად გამოყენებულია პატიმრობა რომელიმე სხვა სისხლის სამართლის საქმეზე. ერთდროულად წარდგენილი რამდენიმე ბრალდების პირობებში ყოველ კონკრეტულ საქმეზე წინასწარი პატიმრობის ზღვრული ვადის განსაზღვრისას ბრალდებულ პირს უნდა ჩაეთვალოს ის პერიოდი, რომელიც მან ბრალის წარდგენის შემდეგ, თუნდაც სხვა სისხლის სამართლის საქმეზე გაატარა წინასწარ პატიმრობაში. შესაბამისად, დაუშვებელია კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეზე პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება იმ მომენტიდან, როდესაც ამ საქმეზე ბრალის წაყენების შემდეგ მის მიერ წინასწარ პატიმრობაში გატარებული ვადა (ნებისმიერ სისხლის სამართლის საქმეზე)

გაუტოლდება 9 თვეს.“⁴⁵ საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად გამოაცხადა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის მე-2 ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უშვებს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულის პატიმრობას, თუ ამ საქმეზე ბრალის წაყენების ან ბრალის წაყენებისთვის საკმარისი საფუძვლის გამოვლენის შემდეგ მას პატიმრობაში ერთობლივად გატარებული აქვს 9 თვე მის მიმართ მიმდინარე ნებისმიერი სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში. თუმცა საკონსტიტუციო სასამართლომ განსაზღვრა ორი გამონაკლისი, როდესაც შესაძლებელია პატიმრობის ვადა აღემატებოდეს 9 თვეს.

⁴⁴ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი; თბ. 2015წ.გვ. 607

⁴⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის #646 გადაწყვეტილება, საქმეზე, საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს წინააღმდეგ; პარ. II - 34

საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად გამოაცხადა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის მე-2 ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უშვებს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულის პატიმრობას, თუ ამ საქმეზე ბრალის წაყენების ან ბრალის წაყენებისთვის საკმარისი საფუძვლის გამოვლენის შემდეგ მას პატიმრობაში ერთობლივად გატარებული აქვს 9 თვე მის მიმართ მიმდინარე ნებისმიერი სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში. თუმცა საკონსტიტუციო სასამართლომ განსაზღვრა ორი გამონაკლისი, როდესაც შესაძლებელია პატიმრობის ვადა აღემატებოდეს 9 თვეს. პირველი შემთხვევა, როდესაც პატიმრობა გამოიყენება იმ დანაშაულთან მიმართებით, რომელიც პირმა პატიმრობის შეფარდების შემდეგ ჩაიდინა, და მეორე შემთხვევა, როდესაც პატიმრობამდე ჩადენილ დანაშაულზე პირის ბრალდებულად ცნობის საფუძველი ბრალდების მხარისათვის ცნობილი გახდა მხოლოდ პირველ საქმეზე წინასწარი პატიმრობის შეფარდების შემდეგ.⁴⁶ სხვა შემთხვევებში, ბრალდებათა სიმრავლის მიუხედავად, პატიმრობის საერთო ფაქტობრივი ხანგრძლივობა არ შეიძლება აღემატებოდეს 9 თვეს. ამდენად, თუ ერთ საქმეზე პირის მიმართ გამოყენებულია პატიმრობა, ყველა სხვა დანაშაულთან მიმართებით, მომავალში იკრძალება პატიმრობის გამოყენება ისე, რომ მისმა ჯამურმა საერთო ხანგრძლივობამ გადააჭარბოს 9 თვეს.⁴⁷

თავი 3 ალკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლისა და გასაჩივრების

პროცესუალური საკითხები

3.1 ალკვეთის ღონისძიების გამოყენება, შეცვლა და გაუქმება.....

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 206-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ალკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხს განიხილავს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე.სსსკ-ის 206-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „ალკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობით პროკურორი სასამართლოს მიმართავს დაკავებიდან არაუგვიანეს 48 საათისა“, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით „ალკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობას მოსამართლე განიხილავს მისი წარდგენიდან არაუგვიანეს 24 საათისა“. ალკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების საკითხი განიხილება ღია სასამართლო სხდომაზე

⁴⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის #646 გადაწყვეტილება, საქმეზე, საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს წინააღმდეგ; პარ. II - 34

⁴⁷ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი; თბ. 2015წ.გვ. 610

(გამონაკლისია როდესაც არსებობს სხდომის დახურვის ამ კოდექსით გათვალისწინებული საფუძვლები). მოსამართლე შუამდგომლობას განიხილავს ერთპიროვნულად, მხარეთა მონაწილეობით. მათი გამოუცხადებლობა არ იწვევს შუამდგომლობის განხილვის გადადებას. სსსკ-ის 206-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, „შუამდგომლობაში უნდა აისახოს ბრალდებულის საიდენტიფიკაციო მონაცემები, ბრალდების არსი, აგრეთვე ნებისმიერი ინფორმაცია თუ მტკიცებულება, რომელსაც ბრალდება ემყარება, და მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიება. შუამდგომლობის დასაბუთებულობისა და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების როგორც ფორმალური (საპროცესო), ისე ფაქტობრივი საფუძვლების შემოწმების შემდეგ მოსამართლეს გამოაქვს დასაბუთებული განჩინება. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის განხილვისას მოსამართლე უფლებამოსილია სათანადო საფუძვლის მითითებით უარყოს შუამდგომლობაში აღნიშნული აღკვეთის ღონისძიება და ბრალდებულს შეურჩიოს სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება ან საერთოდ არ გამოიყენოს აღკვეთის ღონისძიება“ სსსკ-ის მე-8 ნაწილის თანახმად, „მხარე უფლებამოსილია ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების შესახებ შუამდგომლობით მიმართოს მაგისტრატ მოსამართლეს გამოძიების ადგილის მიხედვით. მაგისტრატი მოსამართლე შუამდგომლობის წარდგენიდან 24 საათში, ზეპირი მოსმენის გარეშე წყვეტს შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხს, კერძოდ, წყვეტს, რა ახალი, არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხებია დასმული და მტკიცებულებებია წარმოდგენილი, რომლებიც შეიძლება მიუთითებდეს გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების შესაძლებლობაზე. შუამდგომლობის დასაშვებობის თაობაზე მაგისტრატ მოსამართლეს გამოაქვს განჩინება. შუამდგომლობის დასაშვებად ცნობის შემთხვევაში სასამართლო ატარებს ზეპირ მოსმენას ამ კოდექსით დადგენილ ვადაში, ამ მუხლით დადგენილი წესითა და სტანდარტით.“ ზემოაღნიშნული მუხლი მხარეებს უფლებას ანიჭებს მოითხოვონ აღკვეთის ღონისძიების თაობაზე გამოტანილი განჩინების ან საერთოდ გაუქმება, ან შეცვლა. მტკიცების ტვირთი ყველა შემთხვევაში ბრალდების მხარეს ეკისრება (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 206-ე მუხლის მე-9 ნაწილი), შესაბამისად ბრალდების მხარე არის ვალდებული, თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც დაცვის მხარის მიერ არის შეტანილი შუამდგომლობა, ამტკიცოს როგორც დაცვის მხარის შუამდგომლობის დაუსაბუთებლობა და აღკვეთის ღონისძიების შეცვლის/გაუქმებისათვის საფუძვლების არარსებობა, ასევე შერჩეული აღკვეთის ღონისძიების ძალაში დატოვების აუცილებლობა. მხარეებს ნებისმიერ სტადიაზე შეუძლიათ მოითხოვონ აღკვეთის ღონისძიების გაუქმება ან შეცვლა. მხარეებს ეკისრებათ ერთადერთი ვალდებულება - ინიციატორმა მხარემ უნდა წარმოადგინოს ახალი გარემოება, რაც არ იქნა განხილული აღკვეთის

ლონისძიების შეფარდებისას და შემდგომში გახდა ცნობილი. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ განმარტავს თუ რა შეიძლება იყოს „ახალი გარემოება“. მთავარი არის, იგი უკავშირდებოდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ საფრთხეებს - უნდა მიუთითებდეს აღნიშნული საფრთხის შემცირებაზე ან გაზრდაზე.⁴⁸ თუმცა უნდა აღინიშნოს რომ, სსსკ-ის 95 მუხლი განსაზღვრავს საჩივრის შეტანის უფლებასა და წესს. ამ მუხლის მე-7 ნაწილის მიხედვით, „საჩივარში უნდა აღინიშნოს, რა მოთხოვნები იქნა დარღვეული გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას და რით გამოიხატა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დებულებათა მცდარობა. საჩივარს უნდა დაერთოს მასში მითითებული გარემოებების დამადასტურებელი მასალები, მათ შორის, იმ ახალი გარემოებებისა, რომლებიც არ იყო ცნობილი გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას.“ უნდა ვივარაუდოთ, სსსკ-ის 2060 მუხლის მე-8 ნაწილში მოხსენიებული „ახალი, არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხები და მტკიცებულებები“ წარმოადგენს სწორედ ამ „ახალ გარემოებებს“, რომელიც აღნიშნული შუამდგომლობის დასაშვებობის წინაპირობაა. აღკვეთის ღონისძიების შეცვლის/გაუქმების შუამდგომლობა უნდა იყოს დასაბუთებული მხოლოდ ახალი გარემოებით. შუამდგომლობაში უნდა იყოს მითითებული როგორც, ახალი მტკიცებულებები (რაც წარმოადგენს ახლად გამოვლენილ გარემოებას), ასევე მტკიცებულება იმისა, რომ აღნიშნულის მოპოვება მოხდა აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შემდგომ. შესაბამისად, თუ შუამდგომლობას არ ერთვის ახალი გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება, შუამდგომლობა დაუშვებლად იქნება მიჩნეული. ჩემი აზრით, აღნიშნული ჩანაწერი ართულებს მხარისათვის კანონით მინიჭებული აღკვეთის ღონისძიების შეცვლის/გაუქმების მოთხოვნის უფლების გამოყენების შესაძლებლობას. აღნიშნული ჩანაწერი, ახალი გარემოების მითითების თაობაზე უნდა იქნას შეცვლილი - ვინაიდან მხარეს ზღუდავს და პრაქტიკულად გამორიცხავს, რომ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შეცვლის ან გაუქმების შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების საკითხი შეიძლება მხარემ დააყენოს სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე. იქიდან გამომდინარე, რომ მოხდეს აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული უფლების მაქსიმალურად გამოყენება და არ მოხდეს მისი დაუსაბუთებლად შეზღუდვა - უნდა გაიმიჯნოს ვინ არის შუამდგომლობის შემტანი მხარე. განვიხილოთ ორი შემთხვევა: ა) პირველი შემთხვევაში, როდესაც ბრალდების მხარე არის შუამდგომლობის შემტანი - ბრალდებულის უდანაშაულობის პრეზუმციიდან გამომდინარე, და იქიდან გამომდინარე, რომ ბრალდებულთან

⁴⁸ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი; თბ. 2015წ.გვ.616

დაპირისპირებული არის ბრალდების მხარე, ანუ მთელი სახელმწიფოს რესურსი და ძალა - შუამდგომლობის დასაშვებად ცნობისთვის ფორმალური შესაბამისობის გარდა, აუცილებლად უნდა მიეთითოს ახალი გარემოება, თუ რის საფუძველზე ითხოვს ბრალმდებელი მოცემული აღკვეთის ღონისძიების შეცვლას - ასევე მტკიცების ტვირთი უნდა დაეკისროს ბრალმდებელს. მან უნდა ამტკიცოს თუ რა ახალი გარემოება არის სახეზე, რომელიც ზრდის ბრალდებულის მიერ 198-ე მუხლის მე-2 ნაწილში გათვალისწინებულ საფრთხეებს და ასევე უნდა წარმოადგინოს იმის მტკიცებულება, რომ აღნიშნული გარემოება მოპოვებულ იქნა ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შემდგომ.

ბ) მეორე შემთხვევაში, დაცვის მხარე არის შუამდგომლობის შემტანი. აქ ორად უნდა გაიმიჯნოს საკითხი. პირველი - რეალურად სახეზე არის ახალი გარემოება, რომელიც ამცირებს ბრალდებულის მიმალვის, მტკიცებულებათა განადგურების ან ახალი დანაშაულის ჩადენის რისკებს და მეორე - ახალი გარემოება არ არის სახეზე. პირველ შემთხვევაში, დაცვის მხარე წარმოადგენს ამ ახალ გარემოებას და ბრალდების მხარეს თავიდან დაეკისრება ვალდებულება ამტკიცოს დაცვის მხარის შუამდგომლობის დაუსაბუთებლობა და აღკვეთის ღონისძიების შეცვლის/გაუქმებისათვის საფუძველების არარსებობა, ასევე შერჩეული აღკვეთის ღონისძიების ძალაში დატოვების აუცილებლობა. ხოლო რაც შეეხება მეორე შემთხვევას - აქ დაცვის მხარეს ვინაიდან არ აქვს წარმოდგენილი ახალი გარემოება, მტკიცების ტვირთი, საგამონაკლისო წესით, უნდა გადმოვიდეს დაცვის მხარეზე და დაცვის მხარემ უნდა ამტკიცოს, რომ მოცემული აღკვეთის ღონისძიება არის შეუსაბამო, მიზანშეუწონელი და როგორც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მოითხოვს, შესაბამისად არ არის დასაბუთებული. ასევე მას შემდეგ რაც ერთხელ უკვე განხილულ იქნება პატიმრობის სხვა ნაკლებად მძიმე ღონისძიებად შეცვლის საკითხი და პატიმრობა გამართლებული იქნება, ბრალდებულს გარკვეული პერიოდი შეეზღუდოს ამ უფლების გამოყენება. (გამონაკლისია თუ შემდგომში არსებითად ახალი გარემოება გამოვლინდება) სსსკ-ის 206 -ე მუხლის მე-10 ნაწილის მიხედვით, დაპატიმრების შერჩევის შესახებ შუამდგომლობა სასამართლოს შეიძლება წარედგინოს ბრალდებულის მიმალვის შემთხვევაშიც, ამ კოდექსით გათვალისწინებული წესით. ასეთ შემთხვევაში დაპატიმრების შემდეგ ბრალდებული გამოძიების ადგილას მიყვანიდან არა უგვიანეს 48 საათისა უნდა წარედგინოს მაგისტრატ მოსამართლეს გამოძიების ადგილის მიხედვით. ეს ვადა სტიქიური უბედურების დროს ან სხვა დაუძლეველი ძალის მოქმედებისას, აგრეთვე ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესების დროს, რაც დადასტურებულია სამედიცინო ცნობით, რის გამოც შეუძლებელია ბრალდებულის წარდგენა შესაბამის სასამართლოში, შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 15 დღით, ხოლო ძეზნილი ბრალდებულის უცხოეთში დაკავების შემთხვევაში საქართველოში გამოძიების

ადგილზე ჩამოყვანიდან არა უგვიანეს 48 საათისა იგი უნდა წარედგინოს შესაბამის სასამართლოს. მოსამართლე ისმენს მხარეთა განმარტებებს, რის შემდეგაც იღებს გადაწყვეტილებას აღკვეთის ღონისძიების გაუქმების, შეცვლის ან ძალაში დატოვების შესახებ. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია გარკვეული ცვლილებები განხორციელდეს სსსკ-ის 206-ე მუხლთან მიმართებით, რათა გამარტივდეს აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების თაობაზე შუამდგომლობის შეტანა სასამართლოში. ყოველივე ეს შესაძლებლობას მისცემს ბრალდებულს მაქსიმალურად გამოიყენოს საპროცესო კოდექსით მისთვის მინიჭებული უფლებები.

3.2 აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ

განჩინების გასაჩივრება

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლი განსაზღვრავს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ განჩინების გასაჩივრების წესს. საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ განჩინება შეიძლება ერთჯერადად, მისი გამოტანიდან 48 საათში სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიაში გაასაჩივროს პროკურორმა, ბრალდებულმა ან/და მისმა ადვოკატმა. საჩივარი შეიტანება განჩინების გამომტან სასამართლოში, რომელიც ამ საჩივარსა და მასალებს დაუყოვნებლივ უგზავნის შესაბამის სასამართლოს განსჯადობის მიხედვით. გასაჩივრება არ აჩერებს განჩინების აღსრულებას. აქ მართალია ტერმინი „დაუყოვნებლივ“ არ არის განმარტებული საპროცესო კოდექსის მიერ - თუმცა ივარაუდება ის გონივრული ვადა რაც არის საჭირო საქმის მასალების გასაერთიანებლად და საჩივართან ერთად გადასაგზავნად. მთავარი მოთხოვნა არის ის რომ არ დაირღვეს საპროცესო კოდექსის ის ნორმა, რომელიც იმპერატიულად მიუთითებს საჩივრის განხილვის ვადა არის, მისი შეტანიდან არაუგვიანეს 72 საათი. (სსსკ 207-ე მუხლის მეოთხე ნაწილი). სსსკ-ის 207-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, საჩივარში უნდა აღინიშნოს, რა მოთხოვნები დაირღვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას და რით გამოიხატა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დებულებათა მცდარობა.

სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე საჩივარს განიხილავს ერთპიროვნულად. საქმის მასალებისა და საჩივრის შესვლის შემდგომ იგი პირველ რიგში განიხილავს დასაშვებობის საკითხს, კერძოდ აკმაყოფილებს თუ არა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პირველ და მეორე ნაწილებს. კერძოდ საჩივრის დასაშვებობის ფორმალური კრიტერიუმები (გასაჩივრების ვადის დაცვა, უფლებამოსილი სუბიექტი, განსჯადობა, გასაჩივრების საგანი...) და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის რა მოთხოვნები დაირღვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას.⁴⁹

მოსამართლეს დასაშვებობის თაობაზე გამოაქვს დასაბუთებული განჩინება. აღსანიშნავია, რომ პრაქტიკაში მოსამართლე როგორც წესი, დასაშვებობის საკითხს განიხილავს 24 საათში და შემდგომ უკვე განიხილება საჩივარი ზეპირი მოსმენით - მთავარია საბოლოო გადაწყვეტილება მიღებულ იქნას საჩივრის შეტანიდან 72 საათში. აღკვეთის ღონისძიების თაობაზე შეტანილი საჩივარი განიხილება ზეპირი მოსმენით და მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება საბოლოოა, არ ექვემდებარება შემდგომ გასაჩივრებას.

3.3 აღკვეთის ღონისძიება - პატიმრობის ალტერნატივები

როგორც მოგეხსენებათ, პატიმრობა ეს არის უკიდურესი საგამონაკლისო ღონისძიება, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნას უკიდურესი აუცილებლობისას, ზედმიწევნით ინდივიდუალიზაციის პირობით, პირის მიმართ შერაცხული დანაშაულის სიმძიმის, ხასიათის, საქმის სხვა გარემოებათა, ბრალდებულის პიროვნების მახასიათებლის, წარსულის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის და სხვა გარემოებათა ერთობლიობის მხედველობაში მიღებით. იგი ითვლება ყველაზე ეფექტურ აღკვეთის ღონისძიებად, თუმცა მისი სირთულიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, უმეტეს შემთხვევაში სასურველია გამოყენებულ იქნას სხვა ნაკლებად მძიმე აღკვეთის ღონისძიებანი.

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის თანახმად პატიმრობასთან ერთად, აღკვეთის ღონისძიების სახეებია: გირაო, შეთანხმება გაუსვლელია და სათანადო ქცევის შესახებ, პირადი თავდებობა, სამხედრო

⁴⁹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი; თბ. 2015წ.გვ.628

მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა.

ა) გირაო - სსსკ-ის მიხედვით გირაო განსაზღვრულია, როგორც ერთ-ერთი აღკვეთის ღონისძიება, რომლის მიხედვითაც ბრალდებულს ან მის სასარგებლოდ სხვა პირს, აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე შეაქვს განსაზღვრული თანხა (არ უნდა იყოს 1000 ლარზე ნაკლები) და იღებს წერილობით ვალდებულებას ბრალდებული, რომ სათანადოდ მოიქცევა, ხელს არ შეუშლის გამოძიებას, უზრუნველყოფს დროულად გამოცხადებას და სხვა. იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებული კეთილსინდისიერად არ შეასრულებს მის მიერ ნაკისრ ვალდებულებებს გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა გადაირიცხება სახელმწიფოს ანგარიშზე ხოლო პროკურორი შუამდგომლობით მიმართავს მოსამართლეს რომ გამოყენებულ იქნას სხვა უფრო მძიმე აღკვეთის ღონისძიება. აღნიშნული კარგად არის დარეგულირებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისმე-200მუხლში.

ბ) შეთანხმება გაუსვლელია და სათანადო ქცევის შესახებ - იგი მოცემულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 202-ე მუხლში, რომლის მიხედვითაც იგი შესაძლოა გამოყენებულ იქნას მხოლოდ იმ დანაშაულის საქმეზე რომელიც სასჯელის სახით არ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ერთ წელზე მეტი ვადით. აქ გირაოსგან განსხვავებით, ბრალდებულს თანხა არ შეაქვს აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე. იგი მხოლოდ წერილობით ვალდებულებას იღებს რომ მოიქცევა სათანადოდ და ხელს არ შეუშლის გამოძიებას.

გ) პირადი თავდებობა - იგი მოცემულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 203-ე მუხლში, რომლის მიხედვითაც სანდო პირები კისრულობენ წერილობით ვალდებულებას, რომ ისინი უზრუნველყოფენ ბრალდებულის სათანადო ქცევას. ამ შემთხვევაში საჭიროა როგორც თავდებთა, ასევე ბრალდებულის თანხმობა. თავდებს ჩამოართმევენ ხელწერილს თავდებობის შესახებ და თუ თავდები ვერ უზრუნველყოფს ბრალდებულის სათანადო ქცევას, სასამართლოს შეეძლება მხარის შუამდგომლობით დააკისროს ჯარიმა თავდებს 100 ლარიდან 500 ლარამდე ოდენობით.

დ) სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა - იგი მოცემულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 204-ე მუხლში, რომლის მიხედვითაც ბრალდებული რომელიც არის სამხედრო სავალდებულო, საკონტრაქტო (პროფესიული) ან სამხედრო სარეზერვო სამსახურის მოსამსახურე შესაძლოა გადაეცეს სამხედრო ნაწილის სარდლობას მეთვალყურეობაში, რომლებიც უზრუნველყოფენ ბრალდებულის სათანადო ქცევას და მის გამოცხადებას გამომძიებელთან, პროკურორთან ან მოსამართლესთან.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილი თანახმად, „აღკვეთის ღონისძიებასთან ერთად ბრალდებულის მიმართ შეიძლება

ასევე გამოყენებულ იქნეს: ვალდებულება, დანიშნულ დროს ან გამოძახებისთანავე გამოცხადდეს სასამართლოში; გარკვეული საქმიანობისა თუ პროფესიის განხორციელების აკრძალვა; სასამართლოში, პოლიციაში ან სხვა სახელმწიფო ორგანოში ყოველდღიურად ან სხვა პერიოდულობით გამოცხადებისა და ანგარიშგების ვალდებულება; სასამართლოს მიერ დანიშნული უწყების ზედამხედველობა; ელექტრონული მონიტორინგი; ვალდებულება გარკვეულ ადგილას ყოფნისა გარკვეულ საათებში ან უამისოდ; გარკვეული ადგილის დაუტოვებლობის ან მასში შეღწევის აკრძალვა; აკრძალვა გარკვეულ პირებთან შეხვედრისა სპეციალური ნებართვის გარეშე; პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის ჩაბარების ვალდებულება; სასამართლოს მიერ განსაზღვრული ნებისმიერი სხვა ღონისძიება, რომელიც აუცილებელია აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნების მისაღწევად, მათ შორის, გარკვეულ ადგილზე შესვლისა და დაზარალებულთან მიახლოების აკრძალვა, თუ პირის მიმართ დევნა დაწყებულია ოჯახში ძალადობის ან ოჯახური დანაშაულის ბრალდებით.“

3.4 შინაპატიმრობა როგორც ახალი აღკვეთის ღონისძიება

1998 წლის 20 მარტის მდგომარეობით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 152-ე მუხლში განსაზღვრული იყო აღკვეთის ღონისძიების სახეები. ერთ-ერთ აღკვეთის ღონისძიებად მოიაზრებოდა შინაპატიმრობა. კერძოდ სსსკ-ის 166-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად თანახმად „შინაპატიმრობა გამოიყენება იმ პირის მიმართ, რომლის სრული იზოლაცია აუცილებლობით არ არის გამოწვეული. ამასთან, მხედველობაში მიიღება ჩადენილი დანაშაულის ხასიათი, ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა და სხვა გარემოებები.“ ამავ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად „სასამართლო ბრძანებაში, განჩინებაში ან დადგენილებაში აღკვეთის ღონისძიებად შინაპატიმრობის შერჩევის შესახებ უნდა აღინიშნოს, სახელდობრ რა უფლებები ეზღუდება დაპატიმრებულს. სასამართლო ბრძანების შესაბამისად, მას შეიძლება აკრძალოს გარკვეულ პირებთან ურთიერთობა, სატელეფონო საუბრები, კორესპონდენციის გაგზავნა და მიღება, სახლიდან გასვლა. დაპატიმრებულის საცხოვრებელ ადგილს შეიძლება მიეჩინოს პოლიციის დაცვა. მის ქცევაზე შეიძლება დაწესდეს პოლიციის ზედამხედველობა. ამ აღკვეთის ღონისძიების შერჩევის, შეცვლისა და გაუქმების წესები განისაზღვრება ამ კოდექსით.“ მე-3 ნაწილის თანახმად „შინაპატიმრობა ბრალდებულს შეიძლება დაუწესდეს არა უმეტეს 9 თვის ვადით. ამ ვადის გასვლის შემდეგ აღკვეთის ეს ღონისძიება უნდა შეიცვალოს ან გაუქმდეს.“ 1998 წლის 17 ივლისის მდგომარეობით, 166-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად

„შინაპატიმრობა გამოიყენება იმ პირის მიმართ, რომლის სრული იზოლაციაც აუცილებელი არ არის, კერძოდ, პირველი ან მეორე ჯგუფის ინვალიდის, მძიმე ქრონიკული ან ინფექციური სნეულებით დაავადებული პირის, 12 კვირაზე მეტი ხნის ორსული ქალის მიმართ, აგრეთვე ბრალდებულის მძიმე ოჯახური მდგომარეობის დროს. ამასთან, მხედველობაში მიიღება ჩადენილი დანაშაულის ხასიათი, ბრალდებულის ნასამართლობა და სხვა გარემოებები.“ აღნიშნული აღკვეთის ღონისძიება სასამართლოს მიერ 2006 წლამდე გამოიყენებოდა. 2006 წლიდან მოყოლებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი აღარ იცნობს ამ აღკვეთის ღონისძიებას.

1998 წლის 17 ივლისის მდგომარეობით, 166-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად „შინაპატიმრობა გამოიყენება იმ პირის მიმართ, რომლის სრული იზოლაციაც აუცილებელი არ არის, კერძოდ, პირველი ან მეორე ჯგუფის ინვალიდის, მძიმე ქრონიკული ან ინფექციური სნეულებით დაავადებული პირის, 12 კვირაზე მეტი ხნის ორსული ქალის მიმართ, აგრეთვე ბრალდებულის მძიმე ოჯახური მდგომარეობის დროს. ამასთან, მხედველობაში მიიღება ჩადენილი დანაშაულის ხასიათი, ბრალდებულის ნასამართლობა და სხვა გარემოებები.“ აღნიშნული აღკვეთის ღონისძიება სასამართლოს მიერ 2006 წლამდე გამოიყენებოდა. 2006 წლიდან მოყოლებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი აღარ იცნობს ამ აღკვეთის ღონისძიებას.

ჩემი აზრით, კვლავ უნდა იქნას შემოღებული შინაპატიმრობა როგორც ერთ-ერთი აღკვეთის ღონისძიება. იმ განსხვავებით რომ იგი გამოიყენებულ იქნება მოსამართლის შინაგანი რწმენით კონკრეტულ შემთხვევებში, კონკრეტული პირების მიმართ - რომელთა სრული იზოლაციაც არ იქნებოდა აუცილებელი. (აღნიშნულ საკითხზე შემდგომ პარაგრაფში ვისაუბრებთ) შინაპატიმრობაზე კონტროლის გაწევა მოხდება ელექტრონული სამაჯურის ბრალდებულზე დამაგრებით, რომელიც მუდმივ რეჟიმში შეატყობინებს მეთვალყურე ორგანოს ბრალდებულის ადგილმდებარეობის შესახებ (რათა მან ვერ დატოვოს საცხოვრებელი ადგილი). ბრალდებულის მუდამ სახლში ყოფნა კი თავისუფლად უზრუნველყოფს პატიმრობისთვის დასახული მიზნების მიღწევას კერძოდ მინიმალური ხარისხის იქნება მიმალვის, ახალი დანაშაული ჩადენის საფრთხე. ერთადერთი შესაძლოა მტკიცებულებათა განადგურების საფრთხის არსებობის შემთხვევაში არ იყოს მიზანშეწონილი შინაპატიმრობის გამოყენება, რადგან თეორიულად არსებობს იმის შანსი, რომ მან შესაძლოა პირების დახმარებით შეძლოს გამოძიებისთვის ხელის შეშლა და მტკიცებულებათა განადგურება. შინაპატიმრობის გამოყენება ასევე აგვარიდებს საპატიმრო დაწესებულებების გადავსებულობას და სხვა. ამ აღკვეთის ღონისძიების გამოყენება მიზანშეწონილი უნდა იყოს მაშინ როდესაც ნაკლებად მძიმე აღკვეთის ღონისძიებანი ვერ

უზრუნველყოფენ დასახული მიზნის მიღწევას და პატიმრობის გამოყენებაც არ არის მიზანშეწონილი. მოსამართლის მთავარი მიზანი უნდა იყოს ის რომ პატიმრობა გამოიყენოს, როგორც იშვიათი და საგამონაკლისო ღონისძიება რომლის დასაბუთებულობაზე ეჭვი არავის გაუჩნდება.

თავი 4 უზენაესი სასამართლოს სტატისტიკა ალკვეთის ღონისძიების

შეფარდების თაობაზე⁵⁰

საინტერესო იქნება ასევე გადავავლოთ მოკლედ თვალი ალკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე განხილულ შუამდგომლობების დინამიკას. (ყურადღება იქნება გამახვილებული დაპატიმრებაზე). უზენაესი სასამართლოს მიერ შედგენილი სტატისტიკის თანახმად:

2008 წელს სულ ალკვეთის ღონისძიება გამოყენებულ იქნა 17343 შემთხვევაში. პროკურატურამ მოითხოვა ალკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდება 8197 შემთხვევაში (საერთო რაოდენობის 47,3%). მათ შორის დაკმაყოფილდა შუამდგომლობების 95,2%.

2009 წელს სულ ალკვეთის ღონისძიება გამოყენებულ იქნა 17089 შემთხვევაში. ალკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა მოთხოვნილ იქნა 8713 შემთხვევაში (საერთო რაოდენობის 51,0%). მათ შორის დაკმაყოფილდა შუამდგომლობების 94,1%.

2010 წელს სულ ალკვეთის ღონისძიება გამოყენებულ იქნა 17889 შემთხვევაში. ალკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა მოთხოვნილ იქნა 8761 შემთხვევაში (საერთო რაოდენობის 49,0%). მათ შორის დაკმაყოფილდა შუამდგომლობების 92,6%.

2011 წელს სულ ალკვეთის ღონისძიება გამოყენებულ იქნა 16683 შემთხვევაში. ალკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა მოთხოვნილ იქნა 6948 შემთხვევაში (საერთო რაოდენობის 41,6%). მათ შორის დაკმაყოფილდა შუამდგომლობების 94,4%.

2012 წელს სულ ალკვეთის ღონისძიება გამოყენებულ იქნა 10945 შემთხვევაში. ალკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა მოთხოვნილ იქნა 4154 შემთხვევაში

⁵⁰ იხ. <<http://www.supremecourt.ge/statistics/>>

(საერთო რაოდენობის 38,0%). მათ შორის დაკმაყოფილდა შუამდგომლობების 91,9%.

2013 წელს სულ აღკვეთის ღონისძიება გამოყენებულ იქნა 17464 შემთხვევაში. აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა მოთხოვნილ იქნა 5222 შემთხვევაში (საერთო რაოდენობის 29,9%). მათ შორის დაკმაყოფილდა შუამდგომლობების 65,4%.

2014 წელს სულ აღკვეთის ღონისძიება გამოყენებულ იქნა 18144 შემთხვევაში. კერძოდ 7176 შემთხვევაში (საერთო რაოდენობის 39,6%) პროკურატურამ მოითხოვა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდება. აღნიშნული შუამდგომლობა დაკმაყოფილდა 4365 შემთხვევაში, რაც საერთო რაოდენობის 60,8 % შეადგენს. შესაბამისად უარი ეთქვა შუამდგომლობის დაკმაყოფილებას პატიმრობის შეფარდების თაობაზე და გამოყენებულ იქნა სხვა აღკვეთის ღონისძიება 2811 შემთხვევაში (საერთო რაოდენობის 39,2%)

2015 წელს სულ აღკვეთის ღონისძიება გამოყენებულ იქნა 16517 შემთხვევაში. პროკურატურამ მოითხოვა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდება 6196 შემთხვევაში (საერთო რაოდენობის 37,5%). აღნიშნული შუამდგომლობა დაკმაყოფილდა 3678 შემთხვევაში, რაც საერთო რაოდენობის 59,4 % შეადგენს. შესაბამისად უარი ეთქვა შუამდგომლობის დაკმაყოფილებას პატიმრობის შეფარდების თაობაზე და გამოყენებულ იქნა სხვა აღკვეთის ღონისძიება 2518 შემთხვევაში (საერთო რაოდენობის 40,6%) ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა ითქვას, რომ როგორც ჩანს 2008 წლიდან მოყოლებული 2015 წლამდე, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობას მოითხოვდა პროკურატურა საერთო რაოდენობის 40-50 % ის ფარგლებში (გამონაკლისია 2013 და 2015 წელი). ყველაზე შემაშფოთებელია ის ფაქტი რომ დაკმაყოფილების პროცენტული წილი 100 %- დან არ ჩამოსულა 90% -ზე დაბლა 2013 წლამდე. რაც პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ აღნიშნულ წლებში შუამდგომლობას პატიმრობის შეფარდების თაობაზე მოსამართლე ეთანხმებოდა და საგამონაკლისო წესით კი არ ხდებოდა პატიმრობის შეფარდება, არამედ პირიქით - გამონაკლისი იყო შემთხვევები, როდესაც პატიმრობის შეფარდებაზე შუამდგომლობას უარი ეთქმოდა. 2013 წლიდან შუამდგომლობის დაკმაყოფილების პროცენტი მკვეთრად დაეცა 91,9 %-დან 65,4 %-ამდე, შემდეგ წელს შეადგინა - 60,8%, 2015-ში კი - 37,5 %. მართალია, შესამჩნევი არის დაკმაყოფილების პროცენტული წილის საგრძნობი ვარდნა თუმცა ჩვენი მოსაზრებით პატიმრობის შეფარდება უნდა ხდებოდეს საპროცესო ნორმების დაცვით, როდესაც სხვა ნაკლებად მძიმე აღკვეთის ღონისძიების გამოყენება მიზანშეუწონელი იქნება, შესაბამისად საინტერესო არის რამდენად დასაბუთებულია პროკურატურის მიერ პატიმრობის

შეფარდების შუამდგომლობა მაგალითად 2014 წელს (საერთო რაოდენობის თითქმის 40%, მოთხოვნილია პატიმრობა) და რატომ არის დაკმაყოფილების ასეთი მაღალი პროცენტული წილი (2013, 2014 და 2015 წლებში მინიმუმ 60 %).

2016 წელს აღკვეთის ღონისძიება გამოყენებულ იქნა 10598 შემთხვევაში. აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა მოთხოვნილ იქნა 3082 შემთხვევაში (საერთო რაოდენობის 29.1%). მათ შორის დაკმაყოფილდა შუამდგომლობა 85.4%

2017 წელს აღკვეთის ღონისძიება გამოყენებულ იქნა 9501 შემთხვევაში. აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა მოთხოვნილ იქნა 3249 შემთხვევაში (საერთო რაოდენობის 34.2%). მათ შორის დაკმაყოფილდა შუამდგომლობების 92.8%.

2018 წელს აღკვეთის ღონისძიება გამოყენებულ იქნა 9997 შემთხვევაში. აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა მოთხოვნილ იქნა 4308 შემთხვევაში (საერთო რაოდენობის 43.1%). მათ შორის დაკმაყოფილდა შუამდგომლობები 96.0%.

თავი 5 უცხო ქვეყნების სტანდარტები პატიმრობის გამოყენებასთან მიმართებით

აღნიშნულ თავში მიმოხილული იქნება სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებასთან დაკავშირებით.

ა) ჩეხეთის რესპუბლიკა⁵¹ - ჩეხეთის რესპუბლიკაში პატიმრობის მაქსიმალური ვადა დამოკიდებულია იმაზე თუ რა სიმძიმის დანაშაულის ჩადენაში ედება ბრალი ბრალდებულს. ყველაზე მძიმე დანაშაულისთვის ბრალდებული შესაძლოა პატიმრობაში იმყოფებოდეს 16 თვით.

ჩეხეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით ბრალდებულს ბრალდებულს პატიმრობა შესაძლოა შეეფარდოს თუ გამართლებული არის ეჭვი (justified concern) რომ:

- ბრალდებული მიიძალება რათა თავი აარიდოს სისხლისსამართლებრივ დევნას ან სასჯელს (განსაკუთრებით გამოიყენება იმ შემთხვევაში როდესაც რთულია მისი იდენტიფიცირება, როდესაც მას არ აქვს მუდმივი საცხოვრებელი ან როდესაც მას ემუქრება მძიმე სასჯელი);

⁵¹ Fair Trials International-Pre-Trial Detention Comparative research.2011წ.გვ.2

- ბრალდებული მოახდენს ზეგავლენას მოწმეებზე ან თანამზრახველებზე, იმ შემთხვევაში როდესაც მაც ჯერ გამოძიებისთვის არ მიუციათ ჩვენება, ან სხვანაირად შეუშლის ხელს გამოძიების წარმოებას;
- ბრალდებული ჩაიდენს იმავე დანაშაულს რის გამოც მის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, ან დაასრულებს იმ დანაშაულს რომლის ჩადენის მცდელობისთვის დაიწყო მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა, ან ჩაიდენს იმ დანაშაულს რომლის ჩადენაც მას დაგეგმილი აქვს.

საკითხის გადაწყვეტისას შეეფარდოს თუ არა პიროვნებას პატიმრობა თუ მოხდეს მისი განთავისუფლება, გათვალისწინებულ უნდა იქნეს მთელი საქმის ინდივიდუალური თავისებურებანი, დანაშაულის სიმძიმე და მისი ხასიათი, საფუძვლები - თუ რამდენად დასაბუთებულა პირის დატოვება წინასწარ პატიმრობაში სასამართლოს მიერ საქმის არსებით განხილვამდე. შუამდგომლობა სხვა ნაკლებად მძიმე აღკვეთის ღონისძიების შეფარდების თაობაზე შესაძლოა შეიტანოს თვითონ ბრალდებულმა, მისმა ადვოკატმა, საჯარო ჯგუფებმა, (განმარტებულია როგორც სავაჭრო კავშირები, სინდიკატები და სხვა სოციალური ჯგუფები) ან სანდო პიროვნებამ-რომელსაც შეუძლია პოზიტიური ზეგავლენა მოახდინოს ბრალდებულის მომავალ ქცევაზე. ბრალდებული პატიმრობიდან შესაძლოა განთავისუფლდეს იმ შემთხვევაში როდესაც:

საჯარო ჯგუფი, ან სანდო პიროვნება გარანტიას იღებს რომ ბრალდებული მომავალში შესაბამისად მოიქცევა და არ შეუშლის ხელს გამოძიებას. (მოსამართლე უნდა დარწმუნდეს რომ აღნიშნული გარანტია საკმარისია და მისაღები);

- ბრალდებული წერილობით იღებს ვალდებულებას რომ განაგრძობს ნორმალურ ცხოვრებას, არ ჩაიდენს არანაირ დანაშაულს და შეასრულებს მის მიერ ნაკისრ ვალდებულებებს და სასამართლოს მიერ მისთვის დაკისრებულ შეზღუდვებს(მოსამართლე უნდა დარწმუნდეს რომ აღნიშნული გარანტია საკმარისია და მისაღები);
- ბრალდებული პრობაციის ოფიცრის ზედამხედველობის ქვეშ იქნება ;
- გირაოს სახით თანხა არის შეტანილი.

ბრალდებულსა და მის ადვოკატს შორის კომუნიკაცია თავისუფლად უნდა მოხდეს ნებისმიერ დროს. ბრალდებულს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოითხოვოს ციხის დირექტორთან შეხვედრა. იმ შემთხვევაში თუ ბრალდებული პატიმრობაში იმყოფება და მის წინააღმდეგ საქმე შეწყდება, ან იგი გამართლდება - მას უფლება აქვს მოითხოვოს კომპენსაცია.

ბ) დიდი ბრიტანეთი⁵² - დიდ ბრიტანეთში (ინგლისი და უელსი) წინასწარი პატიმრობის მაქსიმალური ვადა არის 182 დღე. თუმცა აღსანიშნავია რომ აღნიშნული ვადა შესაძლოა კვლავ გაიზარდოს თუ პროკურატურა გაამართლებს დროის ასე გაჭიანურებას.

⁵² Fair Trials International - Pre -Trial Detention Comparative research. 2011 წ. გვ. 5

ინგლისისა და უელსის კანონმდებლობით უპირატესობა ენიჭება ბრალდებულის სასამართლოს განხილვამდე განთავისუფლებას. თუმცა გამონაკლისი არსებობს როდესაც სასამართლო ბრალდებულს პატიმრობაში ტოვებს. ეს შემთხვევებია:

- არსებობს გონივრული ეჭვი იმისა რომ ბრალდებულის განთავისუფლების შემთხვევაში არ ჩაბარდება გამოძიებას, ჩაიდენს ახალ დანაშაულს, ზეგავლენას მოახდენს მოწმეებზე ან სხვაგვარად ხელს შეუშლის მართლმსაჯულების განხორციელებას;
- ბრალდებული უნდა დარჩეს პატიმრობაში მისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად.

კანონმდებლობით გათვალისწინებულია სხვადასხვა ფაქტორები რასაც უნდა მიექცეს ყურადღება სანამ მოსამართლე გადაწყვეტილებას მიიღებს. ესენია: დანაშაულის სიმძიმე და ხასიათი, ბრალდებულის პიროვნება და ხასიათი, საზოგადოებასთან მისი დამოკიდებულება, მისი წარსული, ასევე სხვა ფაქტორები რაც შესაძლოა რელევანტური იყოს აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისას. აღსანიშნავია, რომ ბრალდებულს პატიმრობიდან განთავისუფლების შემთხვევაში შესაძლოა დაეკისროს სხვადასხვა ვალდებულებები რაც უზრუნველყოფს რომ ბრალდებული არ მიემალოს გამოძიებას ან სხვაგვარად ხელი არ შეუშალოს მართლმსაჯულების განხორციელებას. შესაძლოა ბრალდებულს დაეკისროს ვალდებულება რომ: საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შემთხვევაში შეატყობინოს სასამართლოს; აეკრძალოს კონკრეტულ ტერიტორიაზე შესვლა და კონკრეტული ადგილების მონახულება; აეკრძალოს ქვეყნის დატოვება; განსაზღვრული პერიოდულობით გამოცხადდეს შესაბამის სახელმწიფო ორგანოში; აეკრძალოს კონკრეტულ პირებთან ურთიერთობა რომლებიც დანაშაულთან არიან კავშირში; არ ატაროს ავტომობილი; ვალდებულება გაიაროს შესაბამისი სამკურნალო კურსი; ატაროს ელექტრონული სამაჯური; ჩააბაროს სამგზავრო დოკუმენტაცია (პასპორტი, ID ბარათი) და სხვა.

სასამართლო განხილვამდე პატიმრობაში მყოფ ბრალდებულები ცალკე უნდა იყვნენ მოთავსებულები მსჯავრდებულებისგან, გამონაკლისია როდესაც პატიმრობაში მყოფი ბრალდებული თანხმობას აცხადებს საერთო საკანში იყო მსჯავრდებულებთან ერთად. პატიმრობაში მყოფ პირს ნებისმიერ დროს უნდა შეეძლოს საკუთარ ადვოკატთან კომუნიკაცია.

დიდ ბრიტანეთში, კანონმდებლობის თანახმად თუ ახლად გამოვლენილი გარემოების გამო მსჯავრდებული გამართლდება და განთავისუფლდება მას შემდეგ რაც იგი თავისუფლება აღკვეთილი იყო, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება გადაუხადოს დაზარალებულს კომპენსაცია.

გ) საფრანგეთი ⁵³ - პატიმრობის ვადა საფრანგეთში საინტერესოდ არის დარეგულირებული. პატიმრობის ვადა უნდა იყოს გონივრული, დანაშაულის სიმძიმისა და მისი გამოძიების სირთულის გათვალისწინებით. პატიმრობის მაქსიმალური ვადა დამოკიდებულია მაქსიმალურ სასჯელზე რაც შესაძლოა ბრალდებულს შეეფარდოს და მერყეობს 4 თვიდან - 4 წლამდე.

ფრანგული კანონმდებლობის თანახმად სასამართლო განხილვამდე პატიმრობა შესაძლოა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეფარდოს ბრალდებულს თუ მას ბრალი ედება ისეთი დანაშაულის ჩადენა რომელიც სასჯელის სახით ითვალისწინებს მინიმუმ სამი წლით თავისუფლების აღკვეთას, და თუ სხვა ალტერნატიული ღონისძიებები ვერ უზრუნველყოფს ქვემოთ ჩამოთვლილი მიზნების მიღწევას:

- მტკიცებულებების დაცვა;
- ბრალდებულის მიერ დაზარალებულებსა და მოწმეებზე ზეგავლენის მოხდენის თავის არიდება;
- გამოირიცხოს კონტაქტი ბრალდებულსა და მის თანამოაზრეებს შორის;
- თავად ბრალდებულის დასაცავად;
- გარანტია იმისა რომ ბრალდებული წარდგება სასამართლოს წინაშე;
- მოახდინოს ახალი დანაშაულის თავიდან არიდება

სასამართლოს პირველივე სხდომისას, სადაც განიხილება ბრალდებულისთვის პატიმრობის შეფარდების საკითხი, და ნებისმიერ სხვა სხდომაზე რომელიც შეეხება პატიმრობის ვადის გაგრძელების საკითხს - ბრალდებული აუცილებლად უნდა იყოს წარმოდგენილი ადვოკატის მიერ. ბრალდებულის ან მისი ადვოკატის მერ ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი შუამდგომლობით მოითხოვოს პატიმრობიდან განთავისუფლება და სხვა ღონისძიების შეფარდება.

ფრანგული კანონმდებლობის თანახმად, პატიმრობის ალტერნატივებად შესაძლოა განვიხილოთ სასამართლოს ბრძანება რომელიც ავალდებულებს ბრალდებულს: საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შემთხვევაში შეატყობინოს შესაბამის ორგანოს; აეკრძალოს კონკრეტულ ტერიტორიაზე შესვლა და კონკრეტული ადგილების მონახულება; დაავალდებულოს კონკრეტულ დროს კონკრეტულ ადგილას იმყოფებოდეს ბრალდებული; აეკრძალოს ქვეყნის დატოვება (შესაძლოა მოხდეს პასპორტის და სხვა სამგზავრო დოკუმენტის ჩამორთმევა); დაავალდებულოს ბრალდებული განსაზღვრული პერიოდულობით გამოცხადდეს შესაბამის სახელმწიფო ორგანოში; აეკრძალოს კონკრეტულ პირებთან ურთიერთობა, რომლებიც დანაშაულთან არიან კავშირში; აეკრძალოს ავტომობილის მართვა;

⁵³ Fair Trials International - Pre-Trial Detention Comparative research. 2011 წ. გვ. 8

განათავსოს თანხა როგორც გარანტია რომ იგი მოიქცევა სათანადოდ; ვალდებულება გაიაროს შესაბამისი სამკურნალო კურსი; აეკრძალოს ცეცხლსასროლი იარაღის ქონა; ატაროს ელექტრონული სამაჯური; შინაპატიმრობა; ვალდებულება ჩააბაროს სამგზავრო დოკუმენტაცია (პასპორტი, ID ბარათი) და სხვა.

თუ ბრალდებული დაარღვევს მის მიერ ნაკისრ რომელიმე ვალდებულებას, მოსამართლეს უფლება აქვს შეუცვალოს ნაკლებად მძიმე ღონისძიება საპატიმრო ღონისძიებად. აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეფარდებული ბრალდებულები განთავსებულნი არიან დაწესებულებაში, რომელიც სპეციალურად არის შექმნილი იმ პირთათვის ვისაც შეფარდებული აქვს პატიმრობა ან სასჯელის სახით შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა ერთ წელზე ნაკლები ვადით („maison d'arrêt,“).იმ შემთხვევაში თუ პატიმრობაში მყოფი ბრალდებული შემდგომში გამართლდება, მას აქვს კომპენსაციის მიღების უფლება იმ მატერიალური ზიანისთვის რაც მას მიადგა.

დ) გერმანია⁵⁴ - გერმანული კანონმდებლობის თანახმად ბრალდებულის პატიმრობის ვადამ არ უნდა გადააჭარბოს 6 თვეს. თუმცა მისი გაგრძელება შესაძლებელია, მაგალითად როდესაც განსაკუთრებით უცხო და რთული საქმეა გამოსადიებლად.

მოსამართლემ, პატიმრობის შეფარდების საკითხის გადაწყვეტისას უნდა გაითვალისწინოს მთელი რიგი ფაქტორები. კერძოდ რამდენად არის საფრთხე იმისა რომ ბრალდებული ჩაიდენს ახალ დანაშაულს თუ პატიმრობაში არ მოხდება მისი აყვანა, საფრთხე იმისა რომ მიემალება მართლმსაჯულებას, ან საფრთხე იმისა მოახდენს მოწმეებზე ზემოქმედებას ან გაანადგურებს მტკიცებულებებს. აღნიშნულთაგან ერთ-ერთი საფრთხე მაინც უნდა იყოს სახეზე იმისათვის რომ ბრალდებულს შეეფარდოს წინასწარი პატიმრობა, თუმცა შეიძლება ითქვას ნაკლები მტკიცების ტვირთი ეკისრება პროკურატურას იმ შემთხვევაში თუ ბრალდებულს ტერორიზმში ედება ბრალი.

პატიმრობის ალტერნატივებად შეგვიძლია განვიხილოთ სასამართლოს ბრძანება რომელიც ავალდებულებს ბრალდებულს: საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შემთხვევაში შეატყობინოს შესაბამის ორგანოს; აეკრძალოს ბრალდებულს კონკრეტულ ტერიტორიაზე შესვლა და კონკრეტული ადგილების მონახულება; დაავალდებულოს კონკრეტულ დროს კონკრეტულ ადგილას იმყოფებოდეს ბრალდებული; აეკრძალოს ქვეყნის დატოვება; დაავალდებულოს ბრალდებული განსაზღვრული პერიოდულობით გამოცხადდეს შესაბამის პოლიციის განყოფილებაში; აეკრძალოს კონკრეტულ პირებთან ურთიერთობა რომლებიც დანაშაულთან არიან კავშირში; განათავსოს თანხა როგორც გარანტია

⁵⁴ Fair Trials International - Pre-Trial Detention Comparative research. 2011 წ. გვ. 11

რომ იგი მოიქცევა სათანადოდ; ვალდებულება გაიაროს შესაბამისი სამკურნალო კურსი; აეკრძალოს ცეცხლსასროლი იარაღის ქონა; ატაროს ელექტრონული სამაჯური; შინაპატიმრობა; ვალდებულება ჩააბაროს სამგზავრო დოკუმენტაცია (პასპორტი, ID ბარათი) ; ბრალდებულის საბანკო ანგარიშის გაყინვა.

ბრალდებულს და მის ადვოკატს უფლება აქვთ ნებისმიერ დროს მოითხოვონ წინასწარი პატიმრობის შეცვლა და ალტერნატივად შესთავაზონ სასამართლოს სხვა ნაკლებად მძიმე აღკვეთის ღონისძიების შეფარდება. თუმცა მას შემდეგ რაც ერთხელ უკვე განხილულ იქნება პატიმრობის სხვა ნაკლებად მძიმე ღონისძიებად შეცვლის საკითხი და პატიმრობა გამართლებულ იქნება, ბრალდებულს ორი თვე მოუწევს მოცდა სანამ კიდევ მიენიჭება პატიმრობის შეცვლის მოთხოვნის უფლება. თუმცა პროკურორს მუდმივად ეკისრება ვალდებულება პერიოდულად შეამოწმოს პატიმრობის საფუძვლები-რამდენად არსებობს კვლავ ის საფრთხეები რაც ამართლებს პირის პატიმრობას.

პატიმრობაში მყოფი პირები მსჯავრდებულებისგან ცალკე უნდა იმყოფებოდნენ. აღსანიშნავია, რომ პატიმრებს რომლებიც ჯერ არ გაუსამართლებიათ უნდა შეეზღუდოთ უფლებები მხოლოდ იმ აუცილებლობით რაც საჭიროა იმისთვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს დაწესებულებაში წესრიგი. გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით თუ ბრალდებული შემდგომში გამართლდება, მას უფლება აქვს მიიღოს კომპენსაცია პატიმრობაში გატარებულ თითო დღეზე 25 ევრო.

ე) საბერძნეთი ⁵⁵ - საბერძნეთის კანონმდებლობის თანახმად პატიმრობის გამოყენების ვადა დამოკიდებულია დანაშაულის ბუნებაზე, ვარირებს 6 თვიდან - 1 წლამდე. თუმცა განსაკუთრებულ შემთხვევაში შესაძლოა წინასწარი პატიმრობის ვადამ შეადგინოს 18 თვე.

პატიმრობა შესაძლოა შეეფარდოს ბრალდებულს იმ შემთხვევაში როდესაც არსებობს სერიოზული მტკიცებულებები იმისა რომ ჩადენილ იქნა დანაშაული და არსებობს სერიოზული ეჭვი რომ ბრალდებული მიემალემა მართლმსაჯულებას, ან არსებობს მაღალი ალბათობა იმისა რომ იგი განთავისუფლების შემთხვევაში ჩაიდენს ახალ დანაშაულს. მიმალვის საფრთხე სერიოზულად არსებობს როდესაც:

- ბრალდებულს არ აქვს მუდმივი საცხოვრებელი ქვეყანაში
- ბრალდებულმა წინასწარ განახორციელა გარკვეული ქმედებები რაც ხელს შეუწყობდა მის გაქცევას
- ბრალდებული წარსულში იძებნებოდა

⁵⁵ Fair Trials International - Pre-Trial Detention Comparative research. 2011 წ. გვ. 14

- ბრალდებულმა წარსულში ჩაიდინა დანაშაული - ეხმარებოდა სხვას ციხიდან გაქცევაში, ან დაარღვია გარკვეული შეზღუდვები

საბერძნეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით შესაძლოა განისაზღვროს ვალდებულებები ბრალდებულის მიმართ მისი სასამართლოს განხილვამდე განთავისუფლების შემთხვევაში. შესაძლოა მას აეკრძალოს საცხოვრებელი ადგილის შეცვლა და სხვა ადგილას გადასვლა; აეკრძალოს ქვეყნის დატოვება; აეკრძალოს კონკრეტულ პირებთან კონტაქტი; გადაიხადოს გირაო.იმ შემთხვევაში როდესაც მიზეზები რაც ამართლებს პატიმრობის შეფარდებას, ანუ აღარ არსებობს პირის პატიმრობაში დატოვების საფუძველი - ბრალდებულს შეუძლია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს სხვა ნაკლებად მძიმე ღონისძიების შეფარდება.

ასევე ბრალდებულის 6 თვიანი პატიმრობის შემდეგ სასამართლო ვალდებულია თავიდან იმსჯელოს და განსაზღვროს რამდენად არსებობს იმის საჭიროება რომ ბრალდებული კვლავ დარჩეს პატიმრობაში. რაც შეეხება კომპენსაციას, საბერძნეთის კანონმდებლობის თანახმად თუ ბრალდებული რომელიც პატიმრობაში იმყოფებოდა გამართლდება - მას აქვს სახელმწიფოსგან კომპენსაციის მიღების უფლება.

ვ) იტალია⁵⁶ - იტალიაში მაქსიმალური პატიმრობის ვადა დამოკიდებულია იმაზე თუ რა ეტაპზეა პროცესი და რა ტიპის დანაშაულის ჩადენა ედება ბრალად პიროვნებას. მაქსიმალური პატიმრობის ვადა არის 18 თვე. წინასწარი პატიმრობა ან სხვა იძულებითი ღონისძიება შესაძლოა მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენოს მოსამართლემ როდესაც არსებობს მყარი მტკიცებულება იმისა რომ დანაშაული იქნა ჩადენილი და ამასთანავე არის საშიშროება რომ:

- ბრალდებულმა შესაძლოა ჩაიდინოს დანაშაული;
- ბრალდებულმა შესაძლოა გაანადგუროს ან შეცვალოს მტკიცებულებები ან სხვა მხრივ შეუშალოს ხელი გამოძიებას;
- შესაძლოა მიემალოს გამოძიებას.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ განსაკუთრებით საგამონაკლისო შემთხვევებში, როდესაც კონკრეტული დანაშაულების ჩადენას შეეხება(ტერორიზმი), წინასწარი პატიმრობის შეფარდება არის სავალდებულო.

იტალიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით პატიმრობის შეფარდება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში როდესაც სხვა ნაკლებად მძიმე ღონისძიების გამოყენება მიზანშეწონილი არაა. ალტერნატივებად შეგვიძლია

⁵⁶ Fair Trials International - Pre-Trial Detention Comparative research. 2011 წ. გვ. 20

განვიხილოთ: ბრალდებულის დავალდებულება რომ იცხოვროს კონკრეტულ ქალაქში ან ადგილას; სახელმწიფოდან გასვლის აკრძალვა; დაავალდებულოს ბრალდებული განსაზღვრული პერიოდულობით გამოცხადდეს შესაბამის დაწესებულებაში (მაგ: პოლიციის განყოფილება); შინაპატიმრობა ან დავალდებულება ბრალდებული იმყოფებოდეს სახლში განსაზღვრულ საათებში; დაავალდებულოს ბრალდებული დატოვოს ოჯახი სადაც იგი ცხოვრობს; აეკრძალოს განსაზღვრულ ტერიტორიებზე შესვლა თუ წინასწარ სასამართლოს ნებართვა არ ექნება; აეკრძალოს კონკრეტულ პირებთან კონტაქტი რომლებიც კავშირში არიან ჩადენილ დანაშაულთან; დავავალდებულოთ ბრალდებული გაიაროს შესაბამისი სამედიცინო მკურნალობა; აეკრძალოს მშობლის უფლების გამოყენება; აეკრძალოს საჯარო სამსახური; დროებითი აკრძალვა პროფესიულ ან ბიზნეს საქმიანობაზე; აეკრძალოს ბრალდებულს კომპანიების დირექტორობა. მას შემდეგ, რაც ბრალდებულს შეეფარდება წინასწარი პატიმრობა, მას შეუძლია 10 დღის განმავლობაში გაასაჩივროს აღნიშნული და მოითხოვოს სხვა კონკრეტული ღონისძიების შეფარდება. ბრალდებულს, ასევე, შეუძლია მოთხოვოს იმ მოსამართლეს ან სასამართლოს შეცვალოს ან გააუქმოს პატიმრობის განჩინება თუ მისი შეფარდების საფუძვლები აღარ არსებობს.

რაც შეეხება კომპენსაციას, პატიმრობაში მყოფ პირს შეუძლია მოითხოვოს კომპენსაცია თუ საბოლოოდ მას გაამართლებენ. კომპენსაციის მოთხოვნის უფლება მაშინაც არსებობს როდესაც არსებობს საბოლოო სასამართლოს განჩინება რომ პატიმრობის შეფარდების კანონიერი საფუძვლები არ იყო სახეზე და ბრალდებულის ქცევიდან გამომდინარე პატიმრობის შეფარდება მიზანშეუწონელი იყო. თანხის რაოდენობა დამოკიდებულია მოსამართლის გადაწყვეტილებაზე, რომელსაც იგი იღებს ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობისა და მის მიერ განცდილი ზიანის გათვალისწინებით. ნებისმიერ შემთხვევაში თანხა არ უნდა აღემატებოდეს 500 000 ევროს.

ზ) ჰოლანდია⁵⁷ - ჰოლანდიაში მაქსიმალური პატიმრობის ვადა არის 104 დღე. ჰოლანდიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ბრალდებულისთვის პატიმრობის შესაფარდებლად უნდა არსებობდეს სერიოზული ეჭვი იმისა, რომ მას ჩადენილი აქვს მძიმე დანაშაული.

ასევე მოსამართლემ უნდა დაასკვნას რომ არსებობს სერიოზული საშიშროება იმისა რომ ბრალდებული მიემალება მართლმსაჯულებას (აღნიშნული უნდა შეფასდეს ბრალდებულის ქცევისა და მისი ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინებით), ან არსებობს საჯარო ინტერესი რათა ბრალდებული დააკავონ, კერძოდ:

⁵⁷ Fair Trials International - Pre-Trial Detention Comparative research. 2011 წ. გვ. 25

- მას ბრალი ედება ისეთი დანაშაულის ჩადენაში რომელმაც სერიოზულად დაარღვია საჯარო წესრიგი და სავარაუდო სასჯელად გათვალისწინებულია 12 ან მეტი წლით თავისუფლების აღკვეთა;
- არსებობს საკმაოდ დიდი ალბათობა იმისა, რომ ბრალდებული ჩაიდენს ახალ დანაშაულს რომელიც სავარაუდოდ ისჯება 6 ან მეტი წლით თავისუფლების აღკვეთით, ან რომელიც საფრთხეს უქმნის სახელმწიფო უსაფრთხოებას, ფიზიკურ პირთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ან ზოგადად საკუთრებას;
- არსებობს საფრთხე იმისა რომ ბრალდებული ჩაიდენს მძიმე დანაშაულს და მას მისჯილი ქონდა თავისუფლების აღკვეთა მსგავსი დანაშაულის ჩადენის გამო უკანასკნელ ხუთ წელში;
- ბრალდებულისთვის პატიმრობის შეფარდება საჭიროა რათა მოხდეს ქეშმარიტების დადგენა.

თუ ბრალდებული არის მოქალაქეობის არმქონე პიროვნება, რომელსაც არ აქვს საცხოვრებელი ჰოლანდიაში - მათთვის პატიმრობის შეფარდება შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, როდესაც მათ ბრალი არ ედებათ მძიმე დანაშაულის ჩადენაში.

იმ შემთხვევაში, თუ სახეზე არ არის პატიმრობის შეფარდების საფუძვლები, მოსამართლეს შეუძლია გამოიყენოს შემდგომი ღონისძიებები: ვალდებულება შეატყობინოს შესაბამის ორგანოს საცხოვრებელი ადგილის ცვლილების შემთხვევაში; აუკრძალოს ბრალდებულს განსაზღვრულ ტერიტორიებზე შესვლა; დაევალოს კონკრეტულ ადგილას ყოფნა, კონკრეტულ დროს; აეკრძალოს ქვეყნის დატოვება; განსაზღვრული პერიოდულობით შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს წინაშე გამოცხადება (პოლიციის განყოფილება); აუკრძალოს კონკრეტულ პირებთან კონტაქტი რომლებიც იმავე დანაშაულთან არიან კავშირში; აეკრძალოს მანქანის მართვა; დაევალოს შესაბამისი სამედიცინო კურსის გავლა; შინა პატიმრობა და ელექტრონული სამაჯური. ბრალდებულს, პროკურორს და სასამართლოს შეუძლიათ მოითხოვონ ალტერნატიული ღონისძიების შეფარდება. პატიმრობა შეფარდებული პირები მსჯავრდებულებისგან ცალკე უნდა იმყოფებოდნენ. რაც შეეხება კომპენსაციას, ბრალდებულს კომპენსაციის მოთხოვნის უფლება აქვს იმ შემთხვევაში, თუ პატიმრობაში იმყოფებოდა და საბოლოო გადაწყვეტილებით მას გაამართლებენ, ან იმ შემთხვევაში, როდესაც მართალია გამამტყუნებელი განაჩენი გამოვა მის წინააღმდეგ, თუმცა არ არსებობდა შესაბამისი საფუძვლები პატიმრობის შესაფარდებლად. თუმცა უნდა ითქვას, რომ სასამართლოს არ ეკისრება აუცილებლად კომპენსაციის ბრალდებულის სასარგებლოდ დაწესების ვალდებულება - სასამართლო ითვალისწინებს რა საქმის ყველა გარემოებას, თუ ჩათვლის საჭიროდ, მას შემდეგ მიიღებს ბრალდებულის სასარგებლო გადაწყვეტილებას.

თ) პოლონეთი⁵⁸ - პოლონეთის კანონმდებლობის მიხედვით, პატიმრობა შესაძლოა ბრალდებულს შეეფარდოს 3 თვით, თუმცა მისი გაზრდა შესაძლებელია შემდგომ 9 თვით.

პოლონური კანონმდებლობის თანახმად, ბრალდებულს ვერ შეეფარდება პატიმრობა თუ შესაძლებელია სხვა პრევენციული ღონისძიების გამოყენება. პატიმრობის შეფარდების საფუძვლები მოცემულია პოლონეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 258-ე მუხლში:

- არსებობს ეჭვი, რომ ბრალდებული მიიმალება, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში როდესაც პიროვნების იდენტიფიცირება ვერ ხდება, ან როდესაც ბრალდებულს არ აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი;
- არსებობს ეჭვი რომ ბრალდებული ხელს შეუშლის გამოძიებას ჭეშმარიტების დადგენას.

საგამონაკლისო შემთხვევაში, პატიმრობის შეფარდება დასაშვებია, მაშინ როდესაც არსებობს სერიოზული ეჭვი რომ ბრალდებული ჩაიდენს მძიმე დანაშაულს.

პოლონეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, თუ ბრალდებულს არ შეეფარდა წინასწარი პატიმრობა, მას შესაძლოა სასამართლომ დააკისროს შემდგომი პრევენციული ღონისძიებები: ვალდებულება შეატყობინოს შესაბამის ორგანოს საცხოვრებელი ადგილის ცვლილების შემთხვევაში; აუკრძალოს ბრალდებულს განსაზღვრულ ტერიტორიებზე შესვლა; დაევალოს კონკრეტულ ადგილას ყოფნა; კონკრეტულ დროს; აეკრძალოს ქვეყნის დატოვება; განსაზღვრული პერიოდულობით შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს წინაშე გამოცხადება (პოლიციის განყოფილება); აუკრძალოს კონკრეტულ პირებთან კონტაქტი; აეკრძალოს მანქანის მართვა; დაევალოს შესაბამისი სამედიცინო კურსის გავლა.

პოლონეთის კანონმდებლობის თანახმად, ბრალდებულს და მის ადვოკატს ნებისმიერ დროს შეუძლიათ მოითხოვონ პატიმრობის შეცვლა სხვა ნაკლებად მძიმე ღონისძიებით. სასამართლო კი, ვალდებულია გაათავისუფლოს პიროვნება პატიმრობიდან თუ მისი პატიმრობაში დატოვების საფუძვლები აღარ არსებობს. ბრალდებულს აქვს უფლება მოითხოვოს კომპენსაცია იმ შემთხვევაში როდესაც პატიმრობაში დატოვებენ და საბოლოო განაჩენით იგი გამართლდება.

თ) ესპანეთი⁵⁹ - ესპანეთში მაქსიმალური პატიმრობის ვადა არის 4 წელი. თუმცა ვადის გახანგრძლივება მაქსიმალურ 4 წლამდე დამოკიდებულია დანაშაულის სირთულეზე და იმაზე თუ რა სასჯელი შესაძლოა დაეკისროს ბრალდებულს.

⁵⁸ Fair Trials International - Pre-Trial Detention Comparative research. 2011 წ. გვ. 28

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად ბრალდებულს ვერ შეეფარდება წინასწარი პატიმრობა იმ შემთხვევაში როდესაც პატიმრობის შეფარდებისთვის დასახული მიზნების მიღწევა შესაძლებელი იქნება სხვა ნაკლებად მძიმე ღონისძიებით. იმისათვის რომ პირს შევუფარდოთ პატიმრობა, უნდა არსებობდეს დასაბუთებული ეჭვი რომ ბრალდებულმა ჩაიდინა სერიოზული დანაშაული (ესე იგი დანაშაული რომელიც ითვალისწინებს 2 წლით ან მეტით თავისუფლების აღკვეთას) და ასევე პირის პატიმრობაში დატოვება აუცილებელი უნდა იყოს რადგან:

- უზრუნველყოს ბრალდებულის სასამართლოს წინაშე წარდგენა
- თავიდან იქნას აცილებული ბრალდებულის მიერ მტკიცებულების დაზიანება, შეცვლა ან განადგურება
- თავიდან იქნას აცილებული ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის რისკი.

სასამართლოს მიერ საქმის არსებით განხილვამდე ბრალდებულისთვის პატიმრობის შეფარდება შესაძლებელია ნებისმიერ დროს იქნას შეცვლილი მოსამართლის ან პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ. მოსამართლეს ან სასამართლოს უფლება არ აქვს თავისუფლებაში მყოფ ბრალდებულს შეუცვალოს აღკვეთის ღონისძიებას და შეუფარდოს მას პატიმრობა, თუ ამას არ მოითხოვს საჯარო პროკურორი. იმისათვის რომ დავრწმუნდეთ რომ პატიმრობაში მყოფი პირების უფლებები დაცულია, მოსამართლე ვალდებულია, წინასწარი გაფრთხილების გარეშე, მოინახულოს ადგილობრივი ციხის დაწესებულებები ყოველ ერთ კვირაში ერთხელ.

იმ შემთხვევაში, როდესაც პირს ბრალი ისეთ სერიოზულ დანაშაულებში როგორცაა მაგალითად ტერორიზმი, შესაძლოა იმყოფებოდნენ დაკავების განსაკუთრებულ პირობებში. აღნიშნული რეჟიმით ბრალდებულის დაკავება შესაძლოა მაქსიმუმ 13 დღით. ამ პერიოდში გარკვეული უფლებები ბრალდებულს მაქსიმალურად ეზღუდება. მაგალითად ამ პერიოდში ბრალდებულს არ აქვს უფლება მიიღოს მნახველები, კომუნიკაცია იქონიოს გარე სამყაროსთან, შეატყობინოს ოჯახს ან მეგობრებს მისი დაკავების თაობაზე. მათ ეკრძალებათ ასევე თავიანთი ნებით აირჩიონ ადვოკატი, სახელმწიფო უნიშნავს სავალდებულო დაცვას ამ პერიოდის განმავლობაში. ესპანეთის კანონმდებლობის თანახმად, თუ არ მოხდა ბრალდებულის დაპატიმრება სასამართლო განხილვამდე, მოსამართლემ შესაძლოა აუკრძალოს ბრალდებულს განსაზღვრულ ტერიტორიებზე შესვლა; განსაზღვრული პერიოდულობით შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს წინაშე გამოცხადება (პოლიციის განყოფილება);

აუკრძალოს კონკრეტულ პირებთან კონტაქტი რომლებიც იმავე დანაშაულთან არიან კავშირში; აუკრძალოს მანქანის მართვა; დაევალოს შესაბამისი სამედიცინო კურსის გავლა. ასევე ბრალდებულს შესაძლოა შეეფარდოს შინა პატიმრობა-იმ შემთხვევაში როდესაც პირისთვის პატიმრობის შეფარდება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე სარისკოა.

ბრალდებულს აქვს უფლება მოითხოვოს კომპენსაცია იმ შემთხვევაში როდესაც პატიმრობაში დატოვებენ და საბოლოო განაჩენით იგი გამართლდება.

ნათლად ჩანს, რომ პატიმრობის შეფარდების საფუძვლები დაახლოებით ერთიანია და ყველა ქვეყანა მოიაზრებს პატიმრობის საფუძვლად ექვს, რომ ბრალდებული მიიმალება, გაანადგურებს მტკიცებულებებს ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს. ასევე ზემოთ განხილულ ქვეყნებს გააჩნიათ მსგავსი ალტერნატივები თუ რა შეიძლება იქნას გამოყენებული პატიმრობის მაგიერ. თუმცა განსხვავებულად რეგულირდება პატიმრობის ხანგრძლივობის საკითხი. გარდა ამისა, დამატებით ზოგიერთი ქვეყანა პატიმრობის ერთ-ერთ საფუძვლად მოიაზრებს ბრალდების სიმძიმეს. მაგალითად საფრანგეთის კანონმდებლობის თანახმად, პატიმრობის გამოყენება შეიძლება იმ შემთხვევაში თუ სავარაუდო სასჯელის სახით გათვალისწინებულია 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. საკმაოდ საინტერესოა საქართველოს 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი რომლის, 159-ე მუხლის მიხედვითაც პატიმრობის გამოყენება შეიძლება იმ შემთხვევაში თუ სავარაუდო სასჯელის სახით გათვალისწინებული იყო 2 წლით თავისუფლების აღკვეთა.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ დავასკვნით: აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა არის უკიდურესად საგამონაკლისო ღონისძიება, რომელიც შესაძლოა გამოიყენოს სასამართლომ. მისი საგამონაკლისო წესით გამოყენება მნიშვნელოვანია, რადგან წინააღმდეგობაში მოდის უდანაშაულობის პრეზუმფციასთან, ეზღუდება პირს თავისუფლების უფლება და უზღუდავს ბრალდებულს უფლებას სათანადოდ დაიცვას თავი სახელმწიფო ბრალდებისგან. უზენაესი სასამართლოს სტატისტიკის, აღკვეთის ღონისძიების შეფარდების თაობაზე, განხილვის შედეგად ნათელი არის, რომ პატიმრობა არის ყველაზე მოთხოვნადი აღკვეთის ღონისძიება პროკურატურის მიერ რაც მიუთითებს იმაზე, რომ პროკურატურა ხშირად ყურადღებას არ ამახვილებს იმაზე, რომ პატიმრობა უკიდურეს შემთხვევაში უნდა გამოიყენებოდეს. სასურველია უფრო ხშირად გამოიყენებოდეს ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიებები და მასთან ერთად, სსსკ-ის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილში განსაზღვრული დამატებითი საშუალებები.

ჩვენი აზრით, მოსამართლის მთავარი მიზანი უნდა იყოს ის, რომ პატიმრობა გამოიყენოს როგორც იშვიათი და საგამონაკლისო ღონისძიება, რომლის დასაბუთებულობაზე ექვი არავის გაუჩნდება.

მოსამართლემ ყურადღება უნდა გაამახვილოს ყველა იმ გარემოებაზე, რაც ახასიათებს ზოგადად ბრალდებულის პიროვნებას და კონკრეტულ შემთხვევას. აღნიშნული გარემოებები წარმოადგენენ „მოზაიკურ ფრაგმენტებს“ და ისინი უნდა დავინახოთ მთლიანობაში, რაც წარმოგვიჩენს საერთო „სურათს“, რის მიხედვითაც უკვე მოსამართლემ უნდა გადაწყვიტოს მიზანშეწონილია თუ არა აღკვეთის ღონისძიების შეფარდება ზოგადად ან რომელი აღკვეთის ღონისძიება შეუფარდოს ბრალდებულს. პატიმრობის გამოყენებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ბრალდებულთან დაკავშირებით არსებული კონკრეტული და ინდივიდუალური მახასიათებლები - რაც დამატებით გაამყარებს ან პირიქით გამორიცხავს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობას. უნდა იქნას გათვალისწინებული ბრალდებულის პიროვნება (არა მარტო ნასამართლეობა, არამედ ზოგადი დახასიათება მისი, როგორც წარსული აქვს), ასაკი, საქმიანობა, ჯანმრთელობა, ოჯახური და ქონებრივი მდგომარეობა, მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურება, ადრე შეფარდებული რომელიმე

აღკვეთის ღონისძიების დარღვევის ფაქტი და სხვა გარემოებები - რაშიც შეგვიძლია მოვიაზროთ ბრალდებულის განზრახვა, მოტივი რის გამო ჩაიდინა დანაშაული, რა მიზანი ჰქონდა დასახული და ა.შ.

პატიმრობის შეფარდების მიზანშეწონილობის დასაბუთების სირთულიდან გამომდინარე, საგამოძიებო ორგანოს სხვადასხვა შემთხვევებში უნდა შეეძლოს ფარული საგამოძიებო ღონისძიებების გატარების უფლებამოსილება. აქ უნდა გაიმიჯნოს საფუძვლები. იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ბრალდებულის მიმალვის საფრთხის ეჭვი, თუმცა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით ბრალდების მხარე ამას ვერ ასაბუთებს - სასურველია ბრალდებულს არ შეეფარდოს პატიმრობა. თუ სახეზეა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ბრალდება, უნდა გატარდეს სხვა რიგი პრევენციული ღონისძიებები, მათ შორის ფარული საგამოძიებო ღონისძიებები, რაც შემდგომში ან გაგვიმყარებს ან გამორიცხავს პატიმრობის გამოყენების მიზანშეწონილობას. მტკიცებულებათა განადგურების საფრთხის არსებობის დადასტურებისთვის წარმოდგენილ უნდა იქნეს კონკრეტული გარემოებები და ფაქტები, რომელიც მიუთითებს ბრალდებულის მიერ მტკიცებულებათა განადგურების ან მოწმეთა ზემოქმედების განზრახვის შესახებ. აღნიშნულ შემთხვევაში, თუ გამოძიება აქტიურ ფაზაში მიმდინარეობს და დასადგენია გარკვეული ფაქტობრივი გარემოებები და თუ არსებობს საფრთხე იმისა, რომ ბრალდებული განადგურებს მტკიცებულებებს - პირს უნდა შეეფარდოს პატიმრობა მანამ სანამ აქტუალობას არ დაკარგავს ეს საფრთხე. სხვა შემთხვევაში, როდესაც გამოძიება პრაქტიკულად დასრულებულია და ყველა მტკიცებულება დამაგრებული - ბრალდების მხარეს აღნიშნულ საფუძველზე აპელირებით არ შეუძლია მოითხოვოს პატიმრობა და ბრალდებული უნდა განთავისუფლდეს. ამ შემთხვევაში, რაიმე ოპერატიულ სამძებრო ღონისძიებების გამოყენება ვერ იქნება მიზანშეწონილი. ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეზე, როდესაც მიუთითებს პროკურორი - უნდა იყოს დაკონკრეტებული თუ რა სახის საფრთხეზეა საუბარი. ეს საფრთხე აუცილებლად უნდა იყოს კონკრეტული და არა აბსტრაქტული და უნდა გამომდინარეობდეს კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებებიდან. ამ შემთხვევაში უფრო წამყვანი ფაქტორი, რაზეც ყურადღება უნდა გამახვილდეს, არის ბრალდებულის პიროვნება, შესაბამისად ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე არსებობს მაშინ როდესაც არსებობს კონკრეტული მტკიცებულებები რომელიც მიუთითებს ბრალდებულის ტენდენციურობაზე ჩაიდინოს დანაშაულის ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ დანაშაული რომლისთვისაც პირი ბრალდებულია და დანაშაულია, რომლის ჩადენის საფრთხეც არსებობს, თვისობრივად არ უნდა განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან, უნდა იყოს გარკვეული კავშირი მათ შორის. ამ შემთხვევაში, რაიმე ოპერატიულ სამძებრო ღონისძიებების გამოყენება ვერ

იქნება მიზანშეწონილი. ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე თუ იმთავითვე აშკარა არაა და ბრალდების მხარეს არ შეუძლია დაასაბუთოს ბრალდებულის პიროვნებიდან გამომდინარე ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე - პიროვნებას არ უნდა შეეფარდოს პატიმრობა.

უნდა გამარტივდეს აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების მოთხოვნის უფლება. მხარეს აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების საკითხის დაყენება უნდა შეეძლოს სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე. იქიდან გამომდინარე, რომ მოხდეს აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული უფლების მაქსიმალურად გამოყენება და არ მოხდეს მისი დაუსაბუთებლად შეზღუდვა - უნდა გაიმიჯნოს ვინ არის შუამდგომლობის შემტანი მხარე. უნდა განვიხილოთ ორი შემთხვევა:

ა) პირველი შემთხვევაში, როდესაც ბრალდების მხარე არის შუამდგომლობის შემტანი - ბრალდებულის უდანაშაულობის პრეზუმციიდან გამომდინარე, და იქიდან გამომდინარე რომ ბრალდებულთან დაპირისპირებული არის ბრალდების მხარე, ანუ მთელი სახელმწიფოს რესურსი და ძალა - შუამდგომლობის დასაშვებად ცნობისთვის ფორმალური შესაბამისობის გარდა, აუცილებლად უნდა მიეთითოს ახალი გარემოება, თუ რის საფუძველზე ითხოვს ბრალმდებელი მოცემული აღკვეთის ღონისძიების შეცვლას - ასევე მტკიცების ტვირთი უნდა დაეკისროს ბრალმდებელს. მან უნდა ამტკიცოს თუ რა ახალი გარემოება არის სახეზე, რომელიც ზრდის ბრალდებულის მიერ 198-ე მუხლის მე-2 ნაწილში გათვალისწინებულ საფრთხეებს და ასევე უნდა წარმოადგინოს იმის მტკიცებულება, რომ აღნიშნული გარემოება მოპოვებულ იქნა ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შემდგომ.

ბ) მეორე შემთხვევაში, დაცვის მხარე არის შუამდგომლობის შემტანი. აქ ორად უნდა გაიმიჯნოს საკითხი. პირველი - რეალურად სახეზე არის ახალი გარემოება, რომელიც ამცირებს ბრალდებულის მიმალვის, მტკიცებულებათა განადგურების ან ახალი დანაშაულის ჩადენის რისკებს და მეორე - ახალი გარემოება არ არის სახეზე. პირველ შემთხვევაში დაცვის მხარე წარმოადგენს ამ ახალ გარემოებას და ბრალდების მხარეს თავიდან დაეკისრება ვალდებულება ამტკიცოს დაცვის მხარის შუამდგომლობის დაუსაბუთებლობა და აღკვეთის ღონისძიების შეცვლის/გაუქმებისათვის საფუძველების არარსებობა, ასევე შერჩეული აღკვეთის ღონისძიების ძალაში დატოვების აუცილებლობა. ხოლო რაც შეეხება მეორე შემთხვევას - აქ დაცვის მხარეს ვინაიდან არ აქვს წარმოდგენილი ახალი გარემოება, მტკიცების ტვირთი, საგამონაკლისო წესით, უნდა გადმოვიდეს დაცვის მხარეზე და დაცვის მხარემ უნდა ამტკიცოს, რომ მოცემული აღკვეთის ღონისძიება არის შეუსაბამო, მიზანშეუწონელი და როგორც სისხლის სამართლის

საპროცესო კოდექსი მოითხოვს, შესაბამისად არ არის დასაბუთებული. ასევე მას შემდეგ რაც ერთხელ უკვე განხილულ იქნება პატიმრობის სხვა ნაკლებად მძიმე ღონისძიებად შეცვლის საკითხი და პატიმრობა გამართლებული იქნება, ბრალდებულს გარკვეული პერიოდი შეეზღუდოს ამ უფლების გამოყენება. (გამონაკლისია თუ შემდგომში არსებითად ახალი გარემოება გამოვლინდება)

უცხო ქვეყნის სტანდარტები პატიმრობის გამოყენების თაობაზე უმეტეს შემთხვევაში ერთმანეთის მსგავსია. უმეტეს შემთხვევაში, პატიმრობის გამოყენების საფუძვლები და სხვა ალტერნატიული ღონისძიებანი ერთიდაიგივეა. ყველა განხილული ქვეყნის საპროცესო კოდექსებში არის აპელირება იმაზე რომ პატიმრობის გამოყენება უნდა ხდებოდეს გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც არსებობს ეჭვი იმისა რომ ბრალდებული მიიმალება, გაანადგურებს მტკიცებულებებს ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს. თუმცა, ზოგიერთი ქვეყანა, დამატებით პატიმრობის ერთ-ერთ საფუძვლად მოიაზრებს ბრალდების სიმძიმეს. ასევე ზემოთ განხილულ ქვეყნებს გააჩნიათ მსგავსი ალტერნატივები თუ რა შეიძლება იქნას გამოყენებული პატიმრობის მაგიერ. განსხვავებულად რეგულირდება პატიმრობის ხანგრძლივობის საკითხი.

გამოყენებული ლიტერატურა

1 ნორმატიული მასალა

- 1) საქართველოს კონსტიტუცია; 04/10/2013 მდგომარეობით
- 2) ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია; 11/05/1994 მდგომარეობით
- 3) საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ; 16/12/1966მდგომარეობით.
- 4) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი; 13/04/2016 მდგომარეობით.
- 5) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი; 27/04/2016 მდგომარეობით.
- 6) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი; 20/03/1998 მდგომარეობით.
- 7) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი; 17/07/1998 მდგომარეობით.
- 8) არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი; 18/12/2015 მდგომარეობით.

2 ლიტერატურა

- 1) საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია - ხარვეზები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში. თბ. 2012
- 2) იური გაბისონია - ადვოკატის ღონისძიებანი სისხლის სამართლის პროცესში. თბ. 2003 წ.

- 3) ნინო ხაინდრავა, ბესარიონ ბოხაშვილი, თინათინ ხიდაშელი-წინასწარი პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა სამართლის ანალიზი, 2010 წ.
- 4) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი. თბ. 2015 წ.
- 5) ავტორთა კოლექტივი - საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები. თბ. 2005წ.
- 6) კ.კორკელია ი.ქურდაძე - ადამიანის უფლებათა სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით 2004წელი143გვ
- 7) გაეროს ბავშვთა ფონდი - „საერთაშორისო სტანდარტები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში. 2011 წ.
- 8) Human rights committee - General comment No.35; article 9 (liberty and security of person)
- 9) Fair Trials International - Pre -Trial Detention Comparative research. 2011

3 გადაწყვეტილებები და განჩინებები

- 1) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Pacuria v. Georgia
- 2) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Assenov and others v. Bulgaria
- 3) თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 14 მაისის განჩინება; საქმე №-----
- 4) თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 16 აგვისტოს განჩინება. საქმე №-
- 5) თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 2 ივლისის განჩინება. საქმე №----
- 6) თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2014 წლის 18 დეკემბრის განჩინება, საქმე #1გ/1282
- 7) თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2013 წლის 24 აგვისტოს განჩინება. საქმე #1/გ-524
- 8) თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2013 წლის 14 მარტის განჩინება. საქმე #1გ/157
- 9) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის #646 გადაწყვეტილება, საქმეზე, საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს წინააღმდეგ
- 10) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 28 ივნისის საოქმო

ჩანაწერი #646; საქმეზე საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს
პარლამენტის წინააღმდეგ

4 ინტერნეტ-წყარო

1) უზენაესი სასამართლო განვლილი წლების სტატისტიკა
იხ. <http://www.supremecourt.ge/statistics/> საიტზე წვდომა 20.05.2019